საერთო გაზეთი

№19 (430) • 17 მაისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

„ციანიდი“ ქართული ჟურნალისტიკისთვის, ანუ ვის და რას ემსახურება ელისო კილაძე და მისი იატაკქვეშა „დეპარტამენტი“?

თამარ ჩიბურდანიძე:

თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ იმაზე სწრაფად „გავჭრებით“, ვიდრე გაერომ ივარაუდა

სოსო მანჯავიძე:

ვაფრთხილებ ხელისუფლებას – დაელაპარაკეთ ხალხს, სანამ დროა!

მთავარსარდალი

რა ხდება მსოფლიო პოლიტიკის კულუარებში?

„შახაიშის თორმეტი სიზმრის შესახებ“

რისკის ზონა – „მკვლელი“ ტანსაცმელი

ვახტანგ ხარჩილავა:

„ციანიდი“ ქართული ჟურნალისტიკისთვის, ანუ ვის და რას ემსახურება ელისო კილაძე და მისი იატაკქვეშა „დეპარტამენტი“?

დღეს იმდენად ბევრი სენსაციური მასალა ქვეყნდება ელისო კილაძის შესახებ, გულწრფელად გეტყვით, ნამდვილად არ ვაპირებდი ამ ორომტრიალში ჩაბმას, თუმცა, როგორც ხედავთ, მაინც მიწევს ამის გაკეთება. მიზეზი ამისა კი ის გახლავთ, რომ მიუხედავად კილაძის მაკომპრომეტირებელი ფაქტების სიუხვისა, რომლებშიც მართლაც ბევრი რამ არის გამაოგნებელი და სკანდალური, ჩემი აზრით, მაინც უპასუხოდ რჩება მთავარი კითხვა: რასთან და ვისთან გვაქვს საქმე ჟურნალისტის მანტიამოსხმული ამ ქალბატონის სახით, რომლის „მოღვაწეობა“, კარგა ხანია, გასცდა ჟურნალისტიკის ფარგლებს და, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, სახელმწიფოსთვის საშიში და სახიფათო ხასიათი მიიღო.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ელისო კილაძის სახით, რომელიც ხუთი წელია, „რადარებიდან“ არ ჩამოდის, მოქმედებს კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც აბუჩად იგდებს ქართულ სახელმწიფოს, ეჭვქვეშ აყენებს საერთოდ სახელმწიფო სტრუქტურების არსებობას, შეურაცხყოფს, ცილს სწამებს, ლაფსა და ტალახში სვრის ნებისმიერ ადამიანს, რომელიც გაბედავს და პროტესტს გამოთქვამს იმ უმსგავსობის წინააღმდეგ, რასაც კილაძე და მისი გასაიდუმლოებული ჯგუფი სჩადის, აქვეყნებს დოკუმენტებს, რომლებიც, წესით და რიგით, შესაბამისი სტრუქტურების სეიფებში უნდა იყოს დაცული, ჰყავს ინფორმატორების, როგორც მათ კილაძე მოფერებით ეძახის, — „ჩიტების“ მთელი გუნდი, აქვს 42-გვერდიანი გაზეთი, რომლის შენახვასაც ძალზე სერიოზული თანხები სჭირდება, მაგრამ კილაძისთვის ესეც არ წარმოადგენს რაიმე პრობლემას. როგორც თავად კილაძე ამბობს, ფლობს გაურკვეველი გზებით მოპოვებული ფარული აუდიო და ვიდეოჩანაწერების უზარმაზარ ბიბლიოთეკას და ა. შ. და ა. შ.

მოკლედ რომ მოვჭრათ, კილაძე კი არა, რაღაც გასაიდუმლოებული ორგანიზაციაა, რომელიც ძალზე დახვეწილი მზაკვრული მეთოდებით ეფექტურად ებრძვის და შეძლებისდაგვარად ძირს უთხრის და აზიანებს სახელმწიფოს, ქართული სახელმწიფო კი დამნაშავესავით თავჩაქინდრული დგას და მორჩილად იტანს ყველაფერს.

არაფერი არ მეჩვენება, არაფერი მელანდება, არაფერს ვაზვიადებ — ელისო კილაძე და მისი იატაკქვეშა „დეპარტამენტი“ განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ქართული სახელმწიფოსთვის, რომელსაც კილაძემ და მისმა დაჯგუფებამ უკვე მიაყენა სერიოზული ზიანი.

ელისო კილაძე დესტრუქციული ძალაა, რომელიც შლის, ხლეჩს საზოგადოებას, თესავს ეჭვს, უნდობლობას, ერთმანეთთან აპირისპირებს ადამიანებს, რომლებსაც მანამდე ნორმალური, ურთიერთპატივისცემაზე აგებული ურთიერთობა ჰქონდათ.

ბევრი, მათ შორის მეც, იმ მანიპულაციების და ინტრიგების შედეგად, რომელთა ხლართვის დიდოსტატიც ბრძანდება ეს ქალბატონი, ისეთ ადამიანებს გადამკიდა მტრად, რომლებთანაც მანამდე კარგი სალმისა და პატივისცემის გარდა არაფერი მაკავშირებდა.

მას შეუძლია გუშინდელი მეგობარი დღეს ყველაზე ბინძური ეპითეტებისთვის გაიმეტოს, კოლეგა ქალბატონს სამლარიანი „მინეტჩიცა“ უწოდოს და თან ისიც დააყოლოს, რომ ქალბატონის ვაჟისთვის ამ ამბის შეტყობინებას აპირებს, მას შეუძლია ადამიანს, რომელსაც მამას, მასწავლებელს, მის ყველაზე დიდ მოამაგეს უწოდებდა, წყალში ჩაუყაროს ყველაფერი და შემაძრწუნებელი უტიფრობით ათასგვარი სისაძაგლე დააბრალოს.

მას არ უმუშავებს ნორმალური ადამიანისთვის დამახასიათებელი შემაკავებელი რეცეპტორები, ის იქცევა როგორც მანქანა, რომელსაც მუხრუჭებმა უმტყუნა და თავდაღმართზე დაქანებული მიდის და ლეწავს ყველაფერს, რაც გზად ხვდება.

ის „სიცრუის მანქანაა“, თუმცა იმდენად არაქაური და არაქართული ბუნებისაა, ვფიქრობ, ეს „მანქანა“ ქუთაისში არ უნდა იყოს „აწყობილი“...

ასეთ „მანქანებს“ საბჭოთა პერიოდში აწყობდნენ ხოლმე სპეციალურად ამ „საქმისთვის“ გამოყოფილ „ქარხნებში“.

* * *

იმ საქმეებს, რომლებსაც კილაძეა შეჭიდებული, ერთი ადამიანი, რაც უნდა დიდი ენერგიის და შესაძლებლობების იყოს იგი, ვერ მოერევა.

ცხადია, მას ჰყავს თანამზრახველები და „პადდელნიკები“, თუმცა ისინი ოფიციალურად არსად ჩანან.

საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებულ მასალებს თუ დავუჯერებთ, კილაძე ფულს აკეთებს თურმე, მაგრამ ამ ფულს ის ვერ გააკეთებდა, რომ არ ჰყოლოდა საქმის მიმცემები სხვადასხვა სტრუქტურებიდან, ბიზნესწრეებიდან, პოლიტიკური ჯგუფებიდან.

ამ ადამიანების ვინაობა ჯერჯერობით არავინ იცის, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ ისინი არსებობდნენ და არსებობენ დღესაც, რომელთა ვინაობასაც, წესით და რიგით, სათანადო ორგანოები უნდა იძიებდნენ და უნდა იკვლევდნენ თუნდაც მედიაში თუ სოციალურ ქსელებში გაჟღერებული საგანგაშო ინფორმაციების მიხედვით.

ასეა თუ ისეა, კილაძე, ამ ინფორმაციებს თუ სარწმუნოდ ჩავთვლით, საკმაოდ ფართო დანაშაულებრივი ქსელის „მეპატრონეა“, რომლის მოქმედების სფეროც ასევე საკმაოდ ფართო და მასშტაბური უნდა იყოს.

კილაძის და მისი იატაკქვეშა „დეპარტამენტის“ მომსახურებით, რომელიც, სავარაუდოდ, საკმაოდ ძვირი ჯდება, როგორც ჩანს, ბევრი სარგებლობდა.

კილაძის პოპულარულ „დეპარტამენტს“, გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით, იყენებდნენ პოლიტიკოსები პოლიტიკოსების, ზოგჯერ თავიანთი თანაგუნდელების წინააღმდეგ, ბიზნესმენები ბიზნესკონკურენტების ჩასაძირად, ესა თუ ის ჯგუფი მეორე ჯგუფის გზიდან ჩამოსაცილებლად, თუმცა ეს ყველაფერი მაინც მეორეხარისხოვანი წვრილმანებია იმ მთავარ მიზანთან და ამოცანასთან შედარებით, რასაც კილაძე და მისი „დეპარტამენტი“ ემსახურებოდა და ემსახურება დღემდე.

ეს მთავარი მიზანი და ამოცანა კი შემდეგში მდგომარეობს — „ქართული ოცნების“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, დემორალიზება და დისკრედიტაცია, ცალკეული სახელმწიფო სტრუქტურების ავტორიტეტის შელახვა და მათი სრული ქმედითუუნარობის დემონსტრირება, „ქართული ოცნების“ რიგებში უნდობლობის, ეჭვის, შუღლის ჩათესვა და, რაც მთავარი და უპირველესია, ბიძინა ივანიშვილის გარემოცვაში დისონანსის შეტანა და ცრუ კომპრომატებით, ცრუ ბრალდებებით იმ ადამიანებისთვის სახელის გატეხვა, რომლებიც განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ ბიძინა ივანიშვილის მიმართ და მისი მხრიდანაც განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდნენ.

ყოველივე ეს, ერთად აღებული და ერთად დაგროვილი, ცხადია, ბიძინა ივანიშვილის, როგორც პოლიტიკური ფიგურის, (მაშინ, როცა ივანიშვილი ხელისუფლებაში იყო) დასასუსტებლად იყო მიმართული, რასაც კილაძე და მისი „დეპარტამენტი“ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგაც მეტ-ნაკლები წარმატებით აგრძელებს.

ელისო კილაძე ბიძინა ივანიშვილს ებრძოდა მაშინაც კი, როცა მის მხარდამჭერად და მეგობრად ასაღებდა თავს. მისი პუბლიკაციები,

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მისი მოსაზრებები და განცხადებები, იმ ფორმით და შინაარსით, როგორც ამას ეს ქალბატონი აკეთებდა, იყო ზედმიწევნით ზუსტად გათვლილი კომპრომატი, გამიზნული ივანიშვილის ავტორიტეტის შესალახად.

გახსოვთ, ალბათ, „ქრონიკა+“-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი წერილები, სადაც ქალბატონი ელისო საქმეს ისე წარმოაჩენდა, თითქოს ივანიშვილთან და მის უახლოეს გარემოცვასთან იმდენად დაახლოებული პირი იყო, რომ ზუსტად იცოდა, რა ხდებოდა სახელისუფლო კულუარებში — ვის ხსნიდნენ, ვის ნიშნავდნენ, ვის უპირებდნენ დაჭერას, რა ცვლილებებს გეგმავდნენ და ა. შ.

ეს ყველაფერი კი ისეთი ქვეტესქტებით და მინიშნებებით იყო მიწოდებული საზოგადოებისთვის, თითქოს ყოველდღე თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც ქ-ნი ელისო და ბატონი ბიძინა ერთად მიირთმევდნენ ჩაის და სამთავრობო ცვლილებებს და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს ერთად, ერთმანეთთან შეთანხმებით წყვეტდნენ.

გადაფურცლეთ ბოლო წლების პრესა, წაიკითხეთ კილაძის ინტერვიუები, გაეცანით მის პოლიტიკურ „ხილვებს“ და „წინასწარმეტყველებებს“, მის ანალიზს, მის პროგნოზებს და დამეთანხმებით, რომ ის საუბრობს, როგორც „მეფესთან“ განდობილი პირი, მისი პირველი ვაზირი, მისი მთავარი მესაიდუმლე.

— მე ბიძინა ივანიშვილის ხმა ვარ! — ხუმრობანარევი კილოთი ამბობდა თურმე ქ-ნი ელისო კოლეგა ჟურნალისტებთან, პოლიტიკოსებთან, ხელისუფლების სხვადასხვა შტოების წარმომადგენლებთან და ისინიც იჯერებდნენ, რომ ქ-ნი ელისო კი არ ხუმრობდა, სიმართლეს ამბობდა, ოღონდ ხუმრობის ფორმით.

აი, რატომ იდგა კილაძის რედაქციის კარებთან „შემომწირველთა“, საქმის ჩაწყობის მსურველთა რიგი, როგორც ამას „რეპორტიორის“ ერთ-ერთი რესპონდენტი ამტკიცებს.

როცა „ქრონიკა+„-მა ირაკლი ღარიბაშვილზე და ე. წ. კახურ კლანზე მასირებული შეტევა დაიწყო, ბევრმა ჩათვალა, რომ ეს იყო „ზემოდან“, პირველი მოქალაქისგან დაგეგმილი შეტევა, თუმცა, როგორც საქმეში კარგად ჩახედული პირები ამბობენ, ამ ამბავთან ბიძინა ივანიშვილს არანაირი შეხება არ ჰქონდა და სინამდვილეში ღარიბაშვილის წინააღმდეგ მიმართულ ამ „სპეცოპერაციას“ ერთი გავლენიანი ჯგუფი აფინანსებდა, რომელსაც თავისი ფავორიტით სურდა პრემიერ-მინისტრის პოსტზე ღარიბაშვილის ჩანაცვლება.

მართალია, ღარიბაშვილი გადადგა, მაგრამ ჯგუფის მიერ დასახული მიზანი მაინც ვერ განხორციელდა — პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე სულ სხვა პიროვნება დაინიშნა.

ამის შემდეგ „წინასწარმეტყველი“ ელისაბედი „პლასტინკას“ ცვლის და ინტენსიურად იწყებს საუბარს იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს ყიდის და საქართველოდან მიდის.

ეს იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა პოლიტიკურ წრეებზე, საზოგადოებაზე, რომელიც ზუსტად იმეორებდა „ნაცმოძრაობის“ ფანდებს, რომლითაც ისინი ივანიშვილს ებრძოდნენ და გამუდმებით ავრცელებდნენ ჭორებს, რომ ივანიშვილს უკვე ბარგი აქვს ჩალაგებული და ხვალ-ზეგ საზღვარს გადაჰკვეთს. ცოტა ხანში ახალი ინფორმაცია ვრცელდებოდა, რომ ივანიშვილმა უკვე გადაკვეთა საზღვარი და საქართველო დატოვა.

როგორც ვთქვით, ზუსტად იგივეს აკეთებდა ქალბატონი კილაძეც და, დიდი ალბათობით, იგივე პოლიტიკური გუნდის მითითებით.

ერთ მშვენიერ დღეს, მასმედიასთან შეხვედრის დროს, კილაძის მიერ შეთხზული ზღაპარი ბიძინა ივანიშვილთან მისი პოლიტიკური „ნათელ-მირონობის“ და საიდუმლო „თანამშრომლობის“ შესახებ საპნის ბუშტივით გასკდა.

როცა დარბაზში მყოფი ელისო კილაძე წამოდგა და რაღაც კითხვა დასვა, ბიძინა ივანიშვილმა მისი დანახვისას ჩვეული გულწრფელობით, ცოტათი გაკვირვებულმა და გაოცებულმა წამოიძახა: — ეს თქვენ ხართ ელისო კილაძე? კარგია, რომ გნახეთ...

პროვოკატორი ხართ თქვენ, პროვოკატორი!

აკი, რამდენიმე წელი „გვინამიოკებდით“, ქალბატონო ელისო – ივანიშვილთან დიდი მეგობრობა მაკავშირებს და მე ივანიშვილს ხმა ვარო?!

ამ დროს კაცმა პირველად გნახათ და ისე გაუხარდა თქვენი ნახვა, როგორც დეტექტივს შეიძლება გაუხარდეს დიდი ხნის განმავლობაში ძებნაში მყოფი პირის უეცარი შემოფეთება.

* * *

ელისო კილაძემ და მისმა გაზეთმა „საერთო გაზეთის“ ყურადღება პირველად მაშინ მიიქცია, როცა „ქრონიკა+“-ში ერთიმეორის მიყოლებით გამოქვეყნდა „დოკუმენტები“, რომლითაც „მტკიცდებოდა“, რომ „ქართული ოცნების“ რამდენიმე დეპუტატი თითქოს ნაცმოძრაობისდროინდელ უშიშროების სამსახურს ჰყავდა „დავერბოვკებული“ და გადაბირებული, ახლა კი, როცა ეს ადამიანები „ქართული ოცნების“ რიგებში აღმოჩნდნენ, თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ისინი მათ დავალებებს ასრულებდნენ, ვინც ისინი „დაავერბოვკა“.

ამ „დოკუმენტების მიხედვით, ეს დეპუტატები, ფაქტობრივად, „ქართულ ოცნებაში“ „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩანერგილი აგენტები იყვნენ.

გამაოგნებელი, შოკისმომგვრელი ინფორმაცია იყო, რომელიც არა მარტო კონკრეტულად ამ დეპუტატებს, არამედ მთელი „ქართული ოცნების“ დეპუტატთა კორპუსს აყენებდა ჩრდილს და მის რეპუტაციას სერიოზულად ლახავდა.

დიდად თავმოსაწონებელი არაფერია იმაში, თუ ვიტყვით, რომ სწორედ „საერთო გაზეთი“ იყო პირველი, რომელმაც კილაძის ჟურნალისტური საქმიანობის კეთილსინდისიერებაში ეჭვი შეიტანა, რასაც კილაძის მხრიდან პირადად ჩემი და რედაქციის სხვა თანამშრომლების მისამართით ათასგვარი ცილისწამება და სიბინძურის ნიაღვარი მოჰყვა, რაც თითქმის ორი წელიწადი გაგრძელდა.

„საერთო გაზეთი“ ამ „დოკუმენტების“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შემდეგ კითხვას სვამდა: როგორ მოხდა, რომ დოკუმენტები, რომელთაც გრიფით საიდუმლო ადევს და რომლებიც შესაბამისი სახელმწიფო უწყების სეიფებში უნდა იყოს ჩაკეტილი და დაცული, კერძო პირის ხელში ხვდება, შემდეგ კი გაზეთის ფურცლებზე საჯაროვდება?

ჩვენ კატეგორიულად ვთხოვდით პროკურატურას, შსს-ს, სუს-ს, დაუყოვნებლივ დაეწყოთ გამოძიება და ეს ზესკანდალური საქმე საფუძვლიანად შეესწავლათ, თუმცა ჩვენს თხოვნას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

არადა, საქმე ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს თემას — იქ, სადაც ასე ადვილად ხელმისაწვდომია დოკუმენტების ნაწილი, რომლებსაც გრიფით საიდუმლო ადევს, რა გარანტია არსებობს იმისა, რომ სხვა, კიდევ უფრო სერიოზული მნიშვნელობის დოკუმენტები ასევე იოლად ხელმისაწვდომი და ადვილად მოსაპოვებელი არ არის ნებისმიერი მსურველისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი — გაზეთში გამოქვეყნებული „დოკუმენტები“ ბეჭდური სახით იყო წარმოდგენილი, არადა, როგორც ამ საქმის პროფესიონალი მცოდნეები ამტკიცებენ, პირს, რომელსაც თანამშრომლობაზე ითანხმებენ, აუცილებლად ხელით აწერინებენ ტექსტს.

თუ ეს ასეა, გამოდის, რომ „ქრონიკა+“-მა ყალბი, ფალსიფიცირებული მასალები გამოაქვეყნა და ეს გააკეთა მიზანმიმართულად და შეგნებულად, რაც, თავის მხრივ, საკმაოდ მძიმე დანაშაულია.

ჩამოთვლილ გარემოებებთან ერთად, არის კიდევ სხვა საყურადღებო დეტალები, რომლებიც ერთობლიობაში სრულ, აბსოლუტურად მოტივირებულ საბაბს იძლეოდა გამოძიების დასაწყებად.

ჩვენი თხოვნა ასე მთავრდებოდა — თუ ქართული სახელმწიფო არსებობს, ეს საქმე გამოუძიებელი არ უნდა დარჩეს.

— არ არსებობს სახელმწიფო, არა! — გვიპასუხა კილაძემ.

რა ვქნათ ახლა ჩვენ? მართლა დავუჯერიოთ ქალბატონ ელისოს და მართლა ვირწმუნოთ, რომ სახელმწიფო არ არსებობს და სწორედ ამიტომ არის ასე გაპარპაშებული ეს პატივცემული მანდილოსანი?

ელისო კილაძე, „ქართულ ოცნებაში“ „ქართული ოცნების“ დეპუტატების სახით „ჩანერგილი“ „აგენტების“ „მხილების“ და „გაშიფვრის“ შემდეგ „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებსაც მიადგა და მათი დისკრედიტაციის მიზნით არაერთი „მრისხანე“ პუბლიკაცია გამოაქვეყნა თავისი გაზეთის ფურცლებზე, რომლებიც სავსე იყო თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით, გაყალბებული და ხელოვნურად დამახინჯებული ფაქტებით, პატივისა და ღირსების შემლახველი ეპითეტებით.

მაშინ, როცა ელისო კილაძე ჯერ კიდევ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერის და გულშემატკივრის როლს თამაშობდა, ჩვენ ვაფრთხილებდით „ქართულ ოცნებას“, რომ ეს ქალბატონი, სინამდვილეში, სწორედ „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამდა წყალს და ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ინტერესებს ემსახურებოდა.

მაშინ ბევრს არ სჯეროდა ეს, მაგრამ გავიდა მცირე ხანი და კილაძე უკვე ღიად და დაუფარავად შეუერთდა თავის ფარულ მოკავშირეებს და პარტნიორებს.

დღეს უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ ელისო კილაძე „ნაცმოძრაობის“ და მისი პოლიტიკური განაყოფების თამაშს თამაშობს, თუმცა თავის დროზე ყურადღებით რომ დაკვირვებოდნენ მის სვლებს, ადვილად მიხვდებოდნენ, რომ ის მაშინაც „ნაცმოძრაობის“ საქმეს აკეთებდა, როცა „ქართული ოცნების“ მესვეურებს ეგონათ, რომ კილაძე მათი მეგობარი იყო.

ახლა უკვე ყველამ იცის, რომ კილაძე მჭიდროდ თანამშრომლობდა „ნაცმოძრაობის“ ელიტასთან და თვით მიხეილ სააკაშვილთანაც.

დიახ, ახლა ყველას სჯერა, რომ კილაძე „ნაციონალების“ კადრია, მაგრამ რატომ არ დაიჯერეთ ეს მაშინ, როცა „საერთო გაზეთი“, ობიექტური და მიუკერძოებელი ანალიზის საფუძველზე აცხადებდა, რომ ელისო კილაძე „ნაცმოძრაობის“ მიერ იყო შეგზავნილი „ქართულ ოცნებაში“, რომ ის „ნაცმოძრაობის“ ყულაბიდან ფინანსდებოდა, რომ მას კავშირები ჰქონდა ემიგრაციაში წასულ ნაცებთან და ა. შ.

დრო გაივლის, კიდევ ბევრი კილაძე გამოჩნდება „ქართულ ოცნებაში“, რომლებიც შიგნიდან ღრღნიან მის სხეულს, შიგნიდან ფიტავენ და ასუსტებენ მას, ათასგვარი ხერხებით ებრძვიან წესიერ და პატიოსან ადამიანებს, რომლებიც „ქართული ოცნების“ მთავარ საყრდენს წარმოადგენენ.

ფაქტობრივად, ეს მეხუთე კოლონაა, რომლის დროულად განეიტრალება თუ არ მოხდა, „ქართული ოცნებიდან“ შეიძლება ბევრი არაფერი დარჩეს.

კი, ბატონო, ნურც ამას დაგვიჯერებთ, მაგრამ დამახსოვრებით მაინც დაიმახსოვრეთ და იმ დროს გაიხსენეთ, როცა ეს პროგნოზი შეიძლება რეალობად იქცეს...

4 ᲒᲒ.

„ციანიდი“ ქართული ჟურნალისტიკისთვის

3 გვ.

* * *

მოწინააღმდეგის დასუსტების, შემდეგ კი მისი საბოლოო დამარცხების, ერთ-ერთი და კარგად აპრობირებული მეთოდია, შემოაცალო მას საიმედო და ერთგული ადამიანები, ეჭვის და უნდობლობის შხამი ჩააწვეთო ყველას მიმართ, ვინც კრიტიკულ სიტუაციაში მას არ უღალატებს და ზურგში დანას არ ჩასცემს.

ამ მიზანს რომ მიაღწიო, აუცილებელია, რაც შეიძლება მეტი ბინძური ჭორი გაავრცელო ამ ადამიანებზე, შეთხზა არარსებული ისტორიები, ერთმანეთში აურიო ტყუილი და მართალი, სისტემატურად გაავრცელო დეზინფორმაციები, დააბრალო ნებისმიერი სისაძაგლე და ა. შ.

დღეს კილაძეს, ანუ იმ გუნდს, რომლის მიზნებს და ამოცანებს ახორციელებს და ახმოვანებს კილაძე, ბიძინა ივანიშვილის გარემოცვიდან ორი მთავარი სამიზნე ჰყავთ ამორჩეული — უჩა მამაცაშვილი და სუს-ის უფროსის მოადგილე სოსო გოგაშვილი.

დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ ეს არჩევანი შემთხვევით არ არის გაკეთებული და ამ არჩევანის ქვეტექსტი და დაფარული შინაარსი არა მხოლოდ პერსონალურად ამ ორი ადამიანის, არამედ, საბოლოო ჯამში, სწორედ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ არის მიმართული.

როგორც ჩანს, ეს ორი ადამიანი რაღაცით ძალიან უშლის ხელს ზემოთნახსენებ გუნდს და მათი გზიდან ჩამოშორებით ფიქრობენ, რომ მოშლიან იმ ბარიერებს, რაც მათ საშუალებას არ აძლევს, ზუსტი და დამაზიანებელი დარტყმები მიაყენონ ბიძინა ივანიშვილს.

უჩა მამაცაშვილს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილია, იცნობენ როგორც კეთილსინდისიერ, გულისხმიერ და უღალატო ბუნების ადამიანს, რომელიც გამოირჩევა კაცთმოყვარეობით, ჰუმანურობით, წესიერებით. როგორც ჩანს, სწორედ ამ თვისებების გამო უყვარს იგი გამორჩეულად ბატონ ბიძინას, რაც მას არაერთხელ უთქვამს ხმამაღლა და, რაც, შეიძლება იყოს მაპროვოცირებელი სიგნალი იმ მასირებული შეტევისა, რასაც დროგამოშვებით ახორციელებენ მამაცაშვილის გასანეიტრალებლად.

რამდენადაც ვიცით, ეს არ არის პირველი შეთხვევა, როცა მამაცაშვილს შავ პიარს უგორებენ და ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ბიძინა ივანიშვილს მის მიმართ ნდობა დაეკარგოს.

ბატონი ბიძინა ფხიზელი და გამჭრიახი გონების კაცია და, ცხადია, მისი შეცდომაში შეყვანა ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ივანიშვილის მტრები, რომლებიც ზოგჯერ ახერხებენ, რომ მოყვრის ნიღაბი მოირგონ, მაინც არ ცხრებიან და სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა რაკურსიდან ცდილობენ მამაცაშვილისთვის სახელის გატეხვას.

მეორე სამიზნე, რომელსაც კილაძე და მისი „სნაიპერები“ თითქმის ერთი წელია, ცეცხლს უშენენ, სუს-ის უფროსის მოადგილე **სოსო გოგაშვილია**.

ერთი წელია, „ქრონიკა+“-ის ყველა ნომერში იბეჭდება ყოველგვარ ეთიკურ ნორმებს მოკლებული, ცინიზმით და უტიფრობით გაჯერებული, აბუჩად ამგდები და ღირსების შემლახველი წერილები გოგაშვილის წინააღმდეგ.

ფაქტობრივად, ეს არის კამპანია, რომელმაც კარგა ხანია, მიიღო პიროვნების ორგანიზებული და მიზანმიმართული დევნის ხასიათი.

გოგაშვილი ვინმე დაბალი რანგის ჩინოვნიკი ხომ არ არის, სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურის მეორე პირია და როცა მას აბუჩად ამგდები კილოთი ელაზღანდარები და „ეკაჩავები“, ამით იმაზე მიანიშნებ, რომ ქართული სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახური იმდენად სუსტია თურმე, რომ ნებისმიერ შანტაჟისტს და პროვოკატორს შეუძლია „დააჩმოროს“.

სინამდვილეში, როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არასოდეს ყოფილა ისეთი ძლიერი და მონოლითური, როგორიც დღეს არის და ამაში სოსო გოგაშვილსაც დიდი წვლილი მიუძღვის.**

კილაძისა და მისი „დეპარტამენტისთვის“, რა თქმა უნდა, არაფერს ნიშნავს, რომ საქართველო ინარჩუნებს სტაბილურობას და სიმშვიდეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას, ფაქტობრივად, ცეცხლის რკალი აკრავს გარშემო.

ეს, სხვა სტრუქტურებთან ერთად, ცხადია, სუს-ის და მისი ხელმძღვანელების დამსახურებაცაა, რაც არ შეიძლება კილაძემაც არ იცოდეს, მაგრამ მას სხვა დავალება აქვს მიღებული — განამტკიცოს და გაამყაროს „ნაცმოძრაობის“ და სხვა ოპოზიციური პარტიების მიერ შემოგდებული აზრი, რომ „ქართული ოცნების“ სახელისუფლო სტრუქტურები, მათ შორის, სუს-იც, აბსოლუტურად უნიათო და უუნაროა, ასეთი ხელისუფლება კი, ლოგიკურ დასკვნას თუ გავაკეთებთ, დაუყოვნებლივ შესაცვლელია.

ეს არის ერთი მიზეზი, რის გამოც კილაძე და მისი „დეპარტამენტი“ ამდენ ქაღალდს აფუჭებს და ამდენ ენერგიას ხარჯავს სუს-ის გასაბიაბრუებლად, თუმცა, არის მეორე მიზეზიც, რაც გახდა საბაბი იმისა, თუ რატომ აიკვიატეს და ამოიჩემეს კილაძემ და მისმა ზონდერჟურნალისტებმა მაინცდამაინც სოსო გოგაშვილი.

საქმე ის არის, რომ სოსო გოგაშვილმა სუს-ში მუშაობა, როგორც იტყვიან, სუფთა ფურცლიდან დაიწყო. მას, როგორც ზოგიერთებს, არ ამძიმებს წინა ხელისუფლებებთან თანამშრომლობის ტვირთი და, აქედან გამომდინარე, არაფრით არის ვინმესგან დავალებული ან ვინმესთან ანგარიშვალდებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი კაცის გარედან მართვა ან მასზე რაიმე ზემოქმედების მოხდენა შეუძლებელია.

ასეთი უხერხული, სახიფათო და ყოვლად მიუღებელი ფიგურაა „ნაცებისთვის“, მათი სატელიტი პარტიებისთვის, ნაცებთან ნაბალახევი ბიზნესწრეებისთვის სოსო გოგაშვილი, რომელმაც, მისი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ზედმიწევნით კარგად იცის, ვინ რას წარმოადგენს, ვის რა ცოდვა-ბრალი უმძიმებს სულს.



ელისო კილაძე და მისი მდედრობითი სქესის სანჩო პანსა მაკა მოსიაშვილი სოსო გოგაშვილს ხშირად ახსენებენ, რომ ის ერთი უბრალო ოჯახიდანაა, მდაბიოა, რომელიც სიყმაწვილის ასაკიდან ფიზიკურად შრომობდა და პატიოსანი შრომით ირჩენდა თავს.

საინტერესოა, როდის აქეთ გახდნენ ელო და მაკა „სვეტები“ და როდის აქეთ გახდა პატიოსანი შრომა ამ „სვეტების“ დასაცინი და საქილიკო?

* * *

ამ წერილში ხშირად ვიმეორებ ელისო კილაძის სახელსა და გვარს, თუმცა პირადად ჩემთვის, როგორც ზემოთ ვთქვი, ცხადზე ცხადია, რომ ამ გვარ-სახელის უკან ადამიანთა სერიოზული გუნდი დგას, რომელიც ქვეყანაში დესტაბილიზაციის წინაპირობებს ამზადებს.

ელისო კილაძე ამ გუნდის კრებითი სახელია, ხოლო თვითონ ამ გუნდის სრული შემადგენლობის გამოაშკარავება, მათი ბნელი სქემების და ბნელი ზრახვების გაშიფვრა, ჟურნალისტების შესაძლებლობებს აღემატება — ეს შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა გააკეთონ.

თუ ეს არ მოხდა, ელისო კილაძესთან „შაირობა“ და „კაფიობა“ სწორედ რომ ქალბატონ ელისოს აძლევს ხელს და იმათ თვალში, ვისაც იგი პოლიტიკის უღრანებში „სანადიროდ“ ჰყავს გაშვებული, მის ფიგურას წონას და ფუნქციას ჰმატებს.

ამიტომაც ელისო კილაძესთან პოლემიკაში შესვლას არ ვაპირებ.

რაც არ უნდა მოჩმახოს მან ჩემზე და რაც არ უნდა მომიგონოს, **მე კილაძესთან საქმე არ მაქვს, მე საქმე მაქვს საქართველოს პროკურატურასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან — დროულად გამოიძიეთ ამ ქალბატონის და მისი იატაკქვეშა „დეპარტამენტის“ საქმიანობა, რომელსაც აშკარად დაჰკრავს ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ელფერი.**

...ამ წერილს რომ ვწერდი, რატომღაც სულ მახსენდებოდა ე. წ. „ციანიდის საქმე“ და დეკანოზი გიორგი მამალაძე.

მე არ ვიცი, მართლა შეიძინა თუ არა მამა გიორგიმ ციანიდი, თუმცა ის ნამდვილად დადგენილია, რომ მას ციანიდი არავის წინააღმდეგ არ გამოუყენებია.

არ გამოუყენებია და მაინც ციხეში ზის და მის საქმეს პროკურატურა იძიებს.

რით არის ციანიდის შხამზე ნაკლები ის პუბლიკაციები და პოსტები, რომლებსაც ქალბატონი ელისო ხან ბეჭდური და ელექტრონული მედიით, ხან სოციალური ქსელებით ავრცელებს და საზოგადოებას წამლავს?

ჰოდა, დროულად გამოიძიეთ ამ პატივცემული მანდილოსნის და მისი „კანტორის“ შავბნელი საქმეები, ბატონებო!

თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ იმაზე სწრაფად „გავქრებით“, ვიდრე გაერომ ივარაუდა

რატომ მცირდება შობადობა, რატომ გაედინება ახალგაზრდობა ქვეყნიდა, რა უნდა გაკეთდეს დემორაფიული პოლიტიკის შესაცვლელად და როგორ იმოქმედა დემოგრაფიული სურათზე ვიზალიბერალიზაციის ამოქმედებამ? ამ და სხვა საკითხებზე დემოგრაფიული აღორძინების ფონდის თავმჯდომარემ თამარ ჩიბურდანიძემ გვიამბო:

— დემოგრაფიული აღორძინების ფონდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 2013 წლის 3 მარტს, დედის დღეს დაარსდა. დაფუძნების დღიდან საკანონმდებლო ორგანოსა და სამთავრობო უწყებებისთვის უამრავი საკანონმდებლო ინიციატივა შეგიმუშავეთ. ჩავატარეთ ქართული გენოფონდის კვლევები საქართველოს ყველა რეგიონში, ასევე კვლევები ახალგაზრდობის მიმართულებით, აფხაზური და ებრაული გენოფონდის კვლევები, გამოვცემთ გაზეთს „საქართველოს დემოგრაფია“ და ა.შ. 4 წლის მანძილზე ხელისუფლებამ 11 ინიციატივა განახორციელა, რაშიც 300 მილიონი ლარი დახარჯა და ამ 11-დან 7 ინიციატივა ჩვენ მიერ წარდგენილი და დამუშავებულია. ამ საქმიანობაში ჩვენი ერთადერთი დამხმარე „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ და უდიდესი ქველმოქმედი ვახტანგ წივწივაძე გახლავთ. მართალი გითხრათ, თავიდან ფონდი სხვა მიზნით შეიქმნა. ჩვენ ვაპირებდით თანხის მოზიდვას და ფინანსური დახმარების განხორციელებას, მაგრამ მალე ცხადიგახდა, რომ ამხელა ფინანსების მოზიდვას ვერ შევძლებდით. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ კვლევებზე, კანონპროექტებზე და სამთავრობო ინიციატივებზე გვემუშავა. რაც ყველაზე მთავარია, გვემუშავა მოსახლეობის ინფორმირების კუთხით, რომ ყველა მოქალაქემდე მიგვეტანა რა საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა.

— დემოგრაფიული კუთხით უმძიმეს მდგომარეობაში რომ ვართ, გაეროს დასკვნამაც დაადასტურა. საინტერესოა, ფონდის მუშაობამ და მოსახლეობის ინფორმირების მიზნით ჩატარებულმა სამუშაოებმა რაიმე კონკრეტული შედეგი თუ გამოიღო?

— 2013 წელს, ფონდის დაფუძნებისთანავე დავიწყეთ საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობა. სწორედ ამ ინიციატივების შედეგად, სამი წლის მანძილზე 2013-15 წლებში მივაღწიეთ, რომ შობადობის რაოდენობა თითქმის 4000 გაზრდილიყო და აბორტების რიცხვი 9000 ერთეულით შემცირებულიყო. რა თქმა უნდა, დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებს. ამ პროგრამების დამსახურებით, მკვეთრად შემცირდა 1 წლამდე ახალშობილთა სიკვდილიანობა და ზოგადად, გარდაცვალებათა რაოდენობა. 2016 წლამდე ძალიან პოზიტიური დინამიკა გვქონდა, თუმცა 2016 წელს ისევ დაფიქსირდა შობადობის მკვეთრი კლება და დინამიკა უარყოფითისკენ მიდის.

— როგორ ფიქრობთ, ამის მიზეზი მხოლოდ სელექციური აბორტები და გოგონების დეფიციტია?

— მხოლოდ ეს ფაქტორი არა,მაგრამ ჩვენ 2013 წლიდან მოყოლებული, ვამბობდით, რომ საქართველოში იქნებოდა ქორწინებათა რაოდენობის შემცირებისა და შობადობის გარდაუვალი კლების პერიოდი. თავად განსაჯეთ, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში 450 000 გოგონა დაიბადა, ხოლო 90-იანებიდან 2000-მდე სელექციური აბორტების წყალობით კი ამის ნახევარი ანუ 224 000 გოგონა. ახლა სწორედ 2000 წლამდე დაბადებული გოგონები შედიან დედობის ასაკში და ბუნებრივია, რომ განახევრებული გოგონების რაოდენობა განახევრებულ ქორწინებათა რაოდენობას და განახევრებულ შობადობას მოგვცემს. შობადობის გარდაუვალი კლების პერიოდი 25-27 წელი ანუ ერთი დემოგრაფიული თაობა გაგრძელდება.

— ტყიბულის მაღაროში მომხდარი ტრაგედიაზე საუბრისას, ახალგაზრდა მაღაროელები ამბობდნენ, რომ მცირე ანაზღაურების ფასად, მონურ პირობებში მუშაობას, სხვა ქვეყანაში სამუშაოდ წასვლა ურჩევნიათ და ასე მხოლოდ მაღაროელები არ ფიქრობენ..

— დიახ, ეს ფაქტორი პირდაპირ კავშირშია მიგრაციასთან. მინდა ტყიბულს და მთელ საქართველოს მივუსამძიმრო ასეთი დიდი ტრაგედია.

სამწუხაროდ, საქართველოში შრომითი უფლებები არ არის ისე დაცული, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოში უნდა იყოს. არასწორია, რომ ადამიანებს, რომლებიც ფაქტობრივად, ყოველდღე სიკვდილს თვალებში უყურებენ, 500 და 600 ლარიანი ხელფასი აქვთ. საქართველოში სერიოზული დემოგრაფიული კრიზისი 80-90-იან წლებში დაიწყო. 2000 წლიდან ამას უკვე მიგრაცია დაემატა. 28 წელია ქვეყანაში დემორაფიული პრობლემა მძვინვარებს და ამაზე ფიქრით არც ერთმა ხელისუფლებამ თავი არ შეიწუხა. ზვიად გამსახურდიამ დაიწყო, მაგრამ მასთან ერთად მოკლეს იდეაც. შევარდნაძის პერიოდში ვაჟა ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას, თუმცა ესეც გაჩერდა. სააკაშვილს ამ მიმართულებით ხელი არ გაუნძრევია, პირიქით, ხალხს ატყუებდნენ, რომ საქართველოში შობადობის „ბუმი“ იყო, სინამდვილეში კი კატასტროფულად იზრდებოდა აბორტებისა და გარდაცვალებულთა რაოდენობა. მე აღარ ვსაუბრობ პატიმრებსა და 350 000 პრობაციონერზე, რაც ფაქტობრივად, ქართული გენის მოცელვა გახლდათ. შობადობა მხოლოდ უწმინდესის ინიციატივის შედეგად, ანუ სულ სხვა მიზეზის გამო გაიზარდა.

— ტრადიციულად, საქართველოში ყველაზე მძიმე დემოგრაფიული ვითარება მაღალმთიან რეგიონებშია. ამ მიმართულებით თუ შეიცვალა რამე?

— საბედნიეროდ, შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის წლის დემოგრაფიული მაჩვენებლებში კლება გვაქვს, ყველა რეგიონში მატება შეინიშნება. რაჭაში, რომელიც ყველაზე მძიმე დემოგრაფიულ კრიზისში მყოფი რეგიონი იყო, შობადობის ექვსჯერ მატება გვაქვს!

ჩვენ 2013 წლიდან საქართველოს 6 რეგიონში, სადაც შობადობის მინუს ბალანსია ანუ შობადობას სიკვდილიანობა აღემატება, ფულად დახმარებას ვახორციელებთ. ეს იყო ჩვენი ინიციატივა, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის დახმარებით განხორციელდა. 2 წლის მანძილზე ყოველთვიურად, ახალშობილზე ბარში 150, ხოლო მთაში 200 ლარის ოდენობის დახმარებას გავცემთ. სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებამ ექვს რეგიონში მესამე და შემდგომ ახალშობილების მიმართულებით სერიოზული მატება მოგვცა. მთიან რეგიონებში მესამე და შემდგომ ახალშობილზე გაცემულ დახმარებას უკვე პირველ და მეორე ახალშობილზე დახმარებაც დაემატა და მთლიანად რეგიონებში შობადობა მკვეთრად გაიზარდა.

საქართველოს მთაში იმდენად მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა, რომ ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ იმედია, პოზიტიური ტენდენცია გაგრძელდება, რადგან ამ პროექტის განხორციელებას არ მოვეშვებით.

— მიგრაციის თემას დავუბრუნდეთ... ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდეგ, თუ არსებობს მონაცემები, რამდენი ადამიანი გავიდა ქვეყნიდან და არის თუ არა სხვა ქვეყანაში დარჩენის ფაქტები?

— ჩვენ მოვითხოვეთ ეს ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ ჯერჯერობით მკვეთრი დარღვევები არ არსებობს. ოთხმა ადამიანმა ვადები დაარღვია, თუმცა მაინც დაბრუნდა. ჩვენი ქვეყნიდან შრომითი მიგრანტები ევროპაზე მეტად, რუსეთისკენ მიდიან. ევროპისკენ უფრო სწავლის მიღების მსურველი ახალგაზრდები მიიწევენ, იმის დასადგენად, თუ რამდენი ახალგაზრდა ისურვებდა ქვეყნიდან წასვლას, მთელი საქართველოს მასშტაბით, გამოკითხვა ჩავატარეთ. გამოკითხული 500 სტუდენტდან 87%-მა გვითხრა, რომ აუცილებლად წავიდოდა ქვეყნიდან სწავლის გასაგრძელებლად, ხოლო აქედან 78%-მა თქვა, რომ უკან აღარ დაბრუნდებოდა. აი, აქ არის მთავარი პრობლემა. გაოგნებული დავრჩი, როცა თითქმის 500-ვე სტუდენტმა ერთი და იგივე თქვა, რომ საქართველოში არ აფასებენ განათლებას და თუ ე.წ. პატრონი და დამხმარე არ გყავს, მაღალანაზღაურებად სამსახურს ვერ მიიღებ. როცა ქვეყანაში ასეთი იმედგაცრუებული ახალგაზრდობა გვყავს, მიგრაციის მაღალი დონე აღარ უნდა გვიკვირდეს. ვიცი, რომ განათლების მინისტრი ამ მიმართულებით მუშაობს, ამიტომ იმედს ვიტოვებ, რომ განათლების დონე აიწევს და სწავლა დაფასდება.

თუ ჩვენ დაველოდებით, როდის გახდება საქართველო ეკონომიურად ისეთი ძლიერი და როდის ექნება ისეთი „მსუყე“ სო-

6 გვ.

მთავარსარდალი

ვერა და ვერ შეურიგდა ბატონი მარგველაშვილი პრეზიდენტობის ვადის გასვლას, ბოლო წვეთამდე იბრძვის - ოფლის ბოლო წვეთამდე.

რა ჰქნას - ართმევენ სათამაშოს ბიჭს და აღარც გაბრაზდეს? უკვე ოთხი წელია ეს სათამაშოები აქვს, მიეჩვია, შეუყვარდა - ქვის გული კი არა აქვს სააკაშვილივით, რომ მიატოვოს ავლაბრის რეზიდენცია და გაიქცეს - გასაქცევი მაინც ჰქონდეს.

ეგ მხოლოდ პრეზიდენტი კი არ არის - ეგ ჩვენი და საერთოდ ყველას მხედართმთავარიაო - დაგვძახის ოპოზიცია.

ეგ თუ მხედართმთავარია, მე მაია წყნეთელი ვარ, მაგრამ, კარგი, დაგიჯერებთ... გაგვიძახით, ბატონო ხმედართმთავარო.

გაგვიძახით სკამისკენ, რომელიც საკუთარი სხეულით ისე შვილივით გაათბეთ, სხვისთვის აღარ გემეტებათ.

გაგვიძახით მაღალი ხელფასისა და ძვირადღირებული სასმელებისკენ.

გაგვიძახით....

ბევრი გაგვიძახით-ის დაწერა მინდოდა, მაგრამ ველარ მოვიფიქრე კიდევ რა გევალებოდათ, როგორც პრეზიდენტს და გავჩუმდი.

კონსტიტუციასაც მოსძულებიხართ, ბატონო გიორგი, შემოვიდოდით თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ ვინ მოგვაკარებს ავლაბრის რეზიდენციას - პატარა ბიჭები სათამაშოებს არ თმობენ.

თქვენი „პამფლეტი“ გამახსენდა, აი, ის, მსუბუქი დებილობის ფორმით დაავადებულნი საიდანაც გვიწოდეთ ქართველ ხალხს - ხოდა, იქ წერთ: „ბიჭს უჭირავს სათამაშო საჭე ეზოში, დარბის დდღღუუუნნ... ყვირის და ჰგონია, რომ მანქანა მიჰყავს“ -ო - ასევე ყველაფერი კარგად აგიხდეთ, ბატონო პრეზიდენტო. პრეზიდენტობის თამაში რეალობა გვგონია და რა ქვია ამ მდგომარეობას - ჩემზე უკეთ თქვენ გაქვთ აღწერილი, თავის დროზე, იმ უკვდავ ნაშრომში.

პრეზიდენტი შეწუხებულია, რა აკადრეს ქართველს ხალხს: - ნწ, ნწ,ნწ, ანუ, ქართველ ბრძენ ხალხს თავად არ შეუძლია გონიერი პრეზიდენტის არჩევა? ანუ, ქართველმა ხალხმა შეიძლება უგუნური და გიჟი აირჩიოს პრეზიდენტადო?

რიტორიკულ კითხვას ჰგავს, ბატონო პრეზიდენტო.

ფაქტი სახეზეა - ყველაფერი შესაძლებელია, თურმე, მოხდეს!

გუშინდელი დღესავით მახსოვს, როგორ მოხვედით მორცხვად სახეშეფაკლული, ნაზი ღიმილით, მორიდებული ნაბიჯებით, ამბობდით: საზოგადოებამ პრეზიდენტობის კანდიდატის პირადი ცხოვრების შესახებ იმ დოზით უნდა იცოდეს, რა დოზითაც ეს ქართულ საზოგადოებას არ ეხამუშებაო.

მერე კი იმდენჯერ გვახამუშეთ...

სულ ასე ხამუშ-ხამუშ გისმენთ ხოლმე...

თქვენი პირადი ცხოვრებაც ჩვენი ნახამუშევის ნაყოფია...

ხამუშ-ხამუშ მთავარსარდალი თუ არსებობს, მე მაია წყნეთელი ვყოფილვარ და ეგაა...

„დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია - გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით“ - წერდით ოდესღაც იმ ქართელ ხალხზე, რომლის გონიერების იმედად ხართ ახლა დარჩენილი, თურმე.

ო, დიდო მთავარსარდალო, ასეთი რა გვახამუშეთ, რომ გონება გაგვინათდა ამ ოთხ წელიწადში, მსუბუქი დებილობის ფორმიდან - გონიერ არსებებამდე დიდი ნახტომია. ჭეშმარიტად, ეს პატარა ნაბიჯია თქვენთვის, მაგრამ დიდი ნაბიჯია ქართველი ხალხისთვის!

ახლა მთავარია ქართლის დედას ის თასი და ხმალი ჩამოვართვათ, ქვეყნიერებამ რომ არ გაიგოს ჩვენი ლოთობის ამბავი- თასი და ხმალი იმიტომ უჭირავს ქართლის დედას, რომ ლოთი მამის პირობებში, საკუთარ თავზე აიღო ყველა ფუნქცია, ქართლის დედამ ისე გააკეთა, რომ ბავშვი არამც და არამც არ შედგა კაცად, გაათავხედა და გაამაიმუნა, ეშინოდა შვილის დაკარგვის და მისი ბავშვობა მაქსიმალურად გაწელა, ისე რომ არ მისცა გონებრივი განვითარების შესაძლებლობაო - გვახამუშა მთავარსარდალმა. ჩავხარეთ ყველამ ლოთი თავები. გულში ჩავიხედეთ და გონიერებით აღვსილი თვალები მივაპყარით თასითა და ხმლით ხელში ამაყად მდგარ ქართლის დედას.

ვაი, ჩვენს პატრონს - ერთი აღმაშენებელს გაუწელეს ბავშვობა და მეორე თქვენ, ბატონო მხედარმთვარო.

სიმართლე გითხრათ, თქვენზე დაწერილი ყველა სტატიის შემდეგ ვამბობ: - მორჩა, ეს ბოლოა, ამაზე მეტი რაღა უნდა ვუთხრა, ამაზე უარესს რაღას გააკეთებს, კიდევ რაღა უნდა დავწერო?

მაგრამ, ავტორი ბჭობდა და მარგველაშვილი იცინოდაო, ისე მოგვდის ორთავეს.

ისე, ძალიან მიკვირს, კაციც არ მოიძებნა, რომელიც დამირეკავდა და რამე კარგს მეტყოდა თქვენზე, დაგიცავდათ, მოგეფერებოდათ, შეგიცოდებდათ...

მხოლოდ ერთხელ, ერთმა ქალბატონდა დამირეკა დუშეთიდან: - კი ბევრი ვიცინე თქვენს სტატიაზე და კი სიმართლეს წერთ, მაგრამ არც ეგეთი ცუდი კაცია, მას მერე რაც პრეზიდენტია, ერთხელ, დუშეთში ბირჟასთან გააჩერა მანქანა და ძველ მეგობრებს 30-30 ლარი დაურიგაო.

ლიც საკუთარი სხეულით ისე შვილივით გაათბეთ, სხვისთვის აღარ გემეტებათ.

გაგვიძახით მაღალი ხელფასისა და ძვირადღირებული სასმელებისკენ.

გაგვიძახით....

ბევრი გაგვიძახით-ის დაწერა მინდოდა, მაგრამ ველარ მოვიფიქრე კიდევ რა გევალებოდათ, როგორც პრეზიდენტს და გავჩუმდი.

კონსტიტუციასაც მოსძულებიხართ, ბატონო გიორგი, შემოვიდოდით თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ ვინ მოგვაკარებს ავლაბრის რეზიდენციას - პატარა ბიჭები სათამაშოებს არ თმობენ.

თქვენი „პამფლეტი“ გამახსენდა, აი, ის, მსუბუქი დებილობის ფორმით დაავადებულნი საიდანაც გვიწოდეთ ქართველ ხალხს - ხოდა, იქ წერთ: „ბიჭს უჭირავს სათამაშო საჭე ეზოში, დარბის დდღღუუუნნ... ყვირის და ჰგონია, რომ მანქანა მიჰყავს“ -ო - ასევე ყველაფერი კარგად აგიხდეთ, ბატონო პრეზიდენტო. პრეზიდენტობის თამაში რეალობა გვგონია და რა ქვია ამ მდგომარეობას - ჩემზე უკეთ თქვენ გაქვთ აღწერილი, თავის დროზე, იმ უკვდავ ნაშრომში.

პრეზიდენტი შეწუხებულია, რა აკადრეს ქართველს ხალხს: - ნწ, ნწ,ნწ, ანუ, ქართველ ბრძენ ხალხს თავად არ შეუძლია გონიერი პრეზიდენტის არჩევა? ანუ, ქართველმა ხალხმა შეიძლება უგუნური და გიჟი აირჩიოს პრეზიდენტადო?

რიტორიკულ კითხვას ჰგავს, ბატონო პრეზიდენტო.

დედა, რავარი მფლანგველი ყოფილა ეს ჩვენი მთავარსარდალა პრეზიდენტი.

ახლა, ორ ადამიანს თუ მისცა 30 ლარი - ეგ კი არის საქართველოს მოქალაქის პენსიის მესამედი, სამ ადამიანს თუ დაურიგა - უკვე პენსიის ნახევარია... სხვას რას შევადარო, პენსიის გარდა, აბა პრეზიდენტის ხელფასს რომ შევადარო მაგდენი მათემატიკა სად ვიცი მე, გენაცვალე.

რა გითხრათ, ბატონო მთავარსარდალა პრეზიდენტო, რით გაგახაროთ.

მე რა მიხარია, თქვენ რომ გაგახაროთ.

ლოთმა მამებმა, ცუდმა დედებმა, გონებრივად განუვითარებელმა ერმა კიდევ ბევრი შევძელით. კიდევ კარგად მოვედით აქნობამდე.

„ჩვენ გავჩერდით დაახლოებით იმ საფეხურზე, როდესაც ბავშვი იძახის მამაჩემი ცის ტოლია“- წერდით. აღარ ვარ ბავშვი და მამაც აღარ მყავს, მაგრამ მამაჩემი მაინც ცის ტოლია, ბატონო მთავარსარდალა პრეზიდენტო.

ერთი თხოვნა მაქვს და არ დამზარდეთ: ათასი წლის მერე, იმქვეყნად წაიყოლეთ თქვენი ნაშრომი და რუსთაველს, ვაჟას და აღმაშენებელს წაუკითხეთ, მე ფოტოაპარატი უნდა წამოვიყოლო, იმათი სახეები უნდა დავაფიქსირო, რომ ეტყვით პრეზიდენტი, ფილოსოფოსი და მთავარსარდალი ვიყავიო.

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

5 ბ3.

ციალური დახმარებები მიიღონ, როგორიც მაგალითად რუსეთში, ბელორუსიაში, უკრაინაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში და სხვა ქვეყნებშია, ამას შეიძლება ათობით წელი დაჭირდეს. აქედან გამომდინარე, ერთადერთი გამოსავალია, რომ ორი მიმართულებით ვიმუშაოთ: 1. უკვე არსებულ პროგრამებს ახლები უნდა დავამატოთ და სწორედ ამჟამად ვმუშაობთ მრავალშვილიანების სტატუსსა და მათთვის სოციალური პროექტების მომზადებაზე. 2. აუცილებელია საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა. მაგალითად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ამ მიმართულებით მისაბაძია.

შვილები რომ გააჩინონ და სწავლასა და მუშაობაში ხელი არ შეეშალოთ, უნივერსიტეტი სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის სუპერთანამედროვე, უფასო საბავშვო ბაღს აკეთებს. დედები შეძლებენ ბავშვები ბაღში დატოვონ და ლექციების მერე სახლში წაიყვანონ. სტუდენტებისთვის, რომლებსაც შვილი შეეძინებათ, ფულადი წახალისება

და შეღავათებია დაწესებული. კარგი წახალისების სისტემა მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც - ყოველ მესამე და შემდგომ შვილზე თანამშრომლებს ხელფასი ეზრდებათ და პრემიის სახით, დანამატი ეძლევათ.

— ფაქტია, რომ „რკინის ფარდის“ გახსნამ დემოგრაფიის მხრივ, უმძიმესი პრობლემები შეგვიქმნა. როგორ მოვერგოთ გლობალიზაციას და დემოკრატიას ისე, რომ არ გავქრეთ?

— ეს ყოფნა-არ ყოფნის პრობლემაა და დღეს მსოფლიოს ყველა ტიტულოვან ერს აწუხებს. თქვენ იცით, როგორ არის მოძლიერებული ევროპასადა მთელ მსოფლიოში მემარჯვენე იდეოლოგიის პარტიები, იცით, როგორი არ-

ჩვენები ჩატარდა ამერიკაში და იცით ტრამპის იდეოლოგია, აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის ნეგატიურ შედეგებს მთელი მსოფლიო აღიარებს. ბუნებრივია, „რკინის ფარდის“ გახსნას მეტი თავისუფლება, მეტი მოძრაობა და დინამიკა მოჰყვება, უბრალოდ, ასაწონია, რის ფასად გვიღირს დემოგრაფიული პრობლემების გამოსწორება. წინა ხელისუფლების ოპოზიციაში ყოფნის დროს ნამდვილად ვერ შევძლებდი ამაზე მუშაობას, მაგრამ ახლა ვმუშაობთ და შედეგები გვაქვს. ნეგატიური ფონი კიდევ 20-25 წელი იქნება, მაგრამ ვცდილობთ, რომ შემდგომ თაობაზე „ამოვქაჩოთ“ ეს დინამიკა. როგორც დემოგრაფი ისტორიკოსები ამბობენ, თამარის დროს, საქართველოში 8 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა, მე-19 საუკუნის დასაწყისში მოსახლეობა შავმა ჭირმა ისე გაანადგურა, რომ 400 000 ადამიანი დარჩა, მე-19 საუკუნის ბოლოს 1 მილიონი ვიყავით, ხოლო მე-20 საუკუნის 60-იან წლებში 5 მლნ. ნახევარი გავხდით. ასე, რომ ჩვენ დემოგრაფიული კუთხით, აღმავლობის პერიოდიც გვქონია, სრული განადგურებისაც და ისევ აღზევებისაც. საქართველოსთვის თავიუფლებას და დამოუკიდებლობას ალტერნატივა არა აქვს, ამიტომ მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის პირობებში სწორისაშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოება. მიმაჩნია, რომ საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის საშინაო პოლიტიკაზე ბევრად მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკაა. აუცილებელია ყველა მიმართულებით ფრთხილი და მოზომილი საგარეო პოლიტიკის და დიპლომატიის გატარება. თუ ამ პოლიტიკას სწორად ვაწარმოებთ, მაშინ დემორაფიული პოლიტიკაც გამოსწორდება.

ნელი თორდია
571 35 36 88

ჭამი დიდი ყაჩაღობისა

გვესაუბრება მებაღეობა, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი ფიტოთერაპევრტი ოთარ ფიწილაშვილი.

- ჩვენი ინსტიტუტი უძველესი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც თავიდან თელავში იყო, თბილისში მოგვიანებით გადმოიტანეს. ინსტიტუტის მთავარი კორპუსის მშენებლობა 60-იანი წლების დასაწყისში დამთავრდა. როგორც კი ნაციონალები მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ პეტრე ცისკარიშვილმა და მამამისმა დაადგეს თვალი ამ შენობას, რესტორნის გახსნა უნდოდათ. ჯერ შემცირებები დაიწყეს, ინსტიტუტის კუთვნილება იყო მის მოპირდაპრე ტერიტორიაზე (ვეფხისა და მოყმის ძეგლიდან თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველომდე) გაშენებული ვენახი, ეს იყო ვაზის ჯიშების უნიკალური კოლექცია. ერთ დღეს სამსახურში მისულს ხმაური შემომესმა, ამ ვაზებს ჩეხავდნენ, ვიდეოკამერა მქონდა თან და ყველაფერი დავაფიქსირე. იმ პერიოდში ბიოქიმიის, აგროქიმიის, ნიადაგმცოდნეობის, აგროკლიმატოლოგიის, აგროეკოლოგიისა და მცენარეთა დაცვის განყოფილებათა გაერთიანებას ვხელმძღვანელობდი. ამ ე.წ. რეორგანიზაციის შემდეგ დაისვა საკითხი, რომ ინსტიტუტის შენობაში სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა გადმოსულიყო. გაიყიდა კოსტავას ქუჩაზე მდებარე ბრწყინვალე შენობა, სადაც ადრე სამტრესტი იყო, შემდეგ კი ხსენებული სამინისტრო, ვინ არის ახლა მფლობელი ვერ გეტყვით, ფაქტია, რომ დღემდე მიტოვებულია. ერთი სიტყვით, გამოგვიცხადეს ინსტიტუტის შენობაში რემონტი უნდა ჩატარდეს, რადგან სამინისტრო გადმოდის და თქვენ სხვა შენობაში გადახვალთო. მთავარი კორპუსის უკან იყო უნიკალური მუზეუმი, სადაც მე-18 საუკუნის ღვინისა და კონიაკის ნიმუშებიც კი ინახებოდა. მის გვერდით იყო მოგვიანებით აშენებული საპროექტო ინსტიტუტე, რომლის სარდაფშიც საუნა გახსნეს, რაც ფაქტობრივად ბორდელი იყო. იმასაც ამბობდნენ, ვიღაც „ფულიანს“ საკუთარი 14 წლის შვილი მიუყვანეს სექსმუშაკის „ამპლუაშიო“, იყო ჩხუბი და ათასი უბედურება, მგონი ვიღაც მოკლეს კიდეც. ბოლოს დახურეს ეს „დაწესებულება“, ჩვენი სამუშაო მასალები, ის რეაქტივებიც, რომელიც ნარკოტიკულ ნივთიერებებს შეიცავდა, იმ სარდაფში ჩაგვაყრევინეს და აღარ შეგვიშვეს. იმ ტერიტორიაზე ერთ-ერთ შენობაში რემონტი გააკეთეს და იქ შეგვყარეს ინსტიტუტის თანამშრომლები, მაგრამ ბოლოს ის შენობაც დაგვატოვებინეს, რადგან კახა ბენდუქიძეს, რომელიც მაშინ ეკონომიკის მინისტრი ბრძანდებოდა, მადა კიდევ უფრო გაეზარდა. აქ უკვე პრეზიდენტი სააკაშვილიც ჩაერთო. იმ შენობაში, რომლის რემონტიც ორი მილიონი დაჯდა, ხელახლა დაუწყეს გარემონტება. ცისკარიშვილს მშენებლებისთვის უწმაწური სიტყვებით „აუხსნია“, თუ დათქმულ დროზე არ დაამთავრებთ რემოუნტს, ეგ დაგემართებათო. ჩვენ კი იმ საპროექტო ინსტიტუტის გარდა, რომელშიც პირველ ეტაპზე გადაგვიყვანეს, კიდევ 15 ინსტიტუტი შეიძინოს კახა ბენდუქიძის კუთვნილმა აგრარულმა უნივერსიტეტმაო. რა და როგორ გააფორმეს დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ინსტიტუტის ქვედა ტერიტორიების, მიწის ფართობების გასხვისება დაიწყეს. იქ ჯერ რესტორანი „სამეფო“ აშენდა, ვენახის გარდა იქ იყო თავად ნიკოლოზ ხომიზურაშვილის გაშენებული საქართველოში არსებული ყველა ჯიშის ლეღვის კოლექცია, უნიკალური სათბური, სადაც ნამყენები გამოყავდათ, რადიობიოლოგიის ლაბორატორია, რომელშიც ექსპერიმენტებს ვატარებდი. მიანგრ-მოანგრიეს იქაურობა და მერე დაიწყეს ქონების აღწერა. მეორე დღეს რომ მივედი, უხმარი ავტოკლავი, რომელიც 50.000 ევრო ღირდა, გაძარცვული დამხვდა, თუ რაიმე ძვირფასი აპარატურა იყო, გაძარცვეს და ჯართში ჩააბარეს. ყველაზე მეტად დამეწანა უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც ხელახალი რემონტის დროს გარეთ გამოყარეს, ძვირფასი წიგნები აგრარულ უნივერსიტეტში გადაიტანეს და იქ ფოიეში დაყარეს. იქ იყო ცენტრალური ლაბორატორია, რომელსაც ბენდუქიძე დაეპატრონა და ბიბლიოთეკის გზას გაუყენა. თანამშრომლებიც იქ გადაგვამისამართეს, მერე ვითომ ტესტირებაც ჩაგვიტარეს. ამ გასაუბრების დროს ერთ-ერთმა მეცნიერმა ფენოლური ნაერთები რომ ახსენა, გააჩერეს, „გამომცდელმა“, ვინმე ჭეიშვილმა უთხრა, რად მინდა ამაზე რომ მელაპარაკები, სპეციალისტი არ ვარ, სულ არ მაინტერესებს, გარკვეული მიზანი მაქვს და იმას ვემსახურებიო. ვინც შევეპასუხეთ, უმუშევრები დაგვტოვეს. აი, ასე გაანადგურეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. გეხსომებათ, რამდენიმე წლის წინ, ბორჯომის ტერიტორიაზე ტყეები რომ გახმა, რამდენადაც ვიცი, შხამქიმიკატები, რომლითაც ეს ტყეები შეწამლეს, ჭეიშვილის შემოტანილი იყო. ერთი პერიოდი ის დაპატიმრებულიც ყოფილა, რადგან თურმე უვარგისი შხამქიმიკატები იყო და გახმა ხეები. ჭეიშვილს ეს ამბავიც გაახსენეს.

კახა ბენდუქიძე

- ბატონო ოთარ, ახალი ხელისუფლებას თუ მიმართეთ იმ უკანონობასთან დაკავშირებით, რაც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გარშემო დატრიალდა?

- ჩვენ დავაფუძნეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, რომლის საინიციატივო ჯგუფმაც განცხადებით მიმართა გენპროკურორ არჩილ კბილაშვილს ქართული აგრარული მეცნიერების ქონების თაღლითურად გასხვისების, თანამდებობის ბოროტად გამოყენებია და ელიტური კორუფციის აღსასრულებლად ნორმატიული აქტების მიღებასთან დაკავშირებით.

პეტრე ცისკარიშვილი

ვწერდით, რომ სამეცნიერო-კვლევითი ინსიტუტები, რომელზეც უკვე გესაუბრეთ, ჯერ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩამოაყალიბეს, რეორგანიზაციის შემდეგ კი მათ ხელმძღვანელებად ნაცმოძრაობის „პროტეჟეები“ დაინიშნენ, მერე ამ ორგანიზაციებს ქონება ჩამოართვეს, რომლის განკარგვასაც ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებდა. ამ ყველაფერში თავიდანვე იკვეთებოდა ბენდუქიძის ინტერესი, იმიტომაც მოუხსნეს ხსენებული ინსტიტუტების ქონებას სამეცნიერო სტატუსი, რითაც საფუძველი შექმნეს, რომ ეს ქონება მაშიბნდელ მაღალჩინოსნებსა და მათთან დაახლოებულ კერძო პირებს „პრივატიზების“ გზით შეეძინათ. ჩვენი ინსტიტუტის ქონება 2008-2009 წლებში გაყიდეს, მანმადე კი, როგორც გითხარით, ვანდალურად გაანადგურეს. გაყიდული იქნა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით გაშენებული ვაზის და ხეხილის ჯიშების კოლექცია 9 ჰექტარი თბილისში (ვაშლიჯვრის ბაზა), რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ გიგი უგულავა და პეტრე ცისკარიშვილი. მიწის გაყიდვამდე იქიდან ამოძირკვეს ნარგავები, რომელიც თელავისა და საქარის საცდელ ბაზებზე გადაიტანეს, მაგრამ აღარ მოუარეს და ეს უმნიშვნელოვანესი გენოფონდი განადგურდა. 2008 წელს გაყიდეს ვაზის გენოფონდის ინსტიტუტის ერთადერთი ძველი სამეცნიერო დანიშნულების კოლექცია თელავში, 205 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სამეცნიერო დანიშნულების ენოთეკა, რომლის მფლობელიც გახდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მიხეილ გოგიშვილის ძმა კახა გოგიშვილი. 2012 წლის არჩევნების შემდეგ კახა გოგიშვილმა ეს ქონება შპს „ვივი“ზე გაასხვისა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მოწილეც თვითონაა. მფლობელთა შორისაა პარლამენტარი გოჩა ენუქიძეც. ჩვენი ინსტიტუტის დირექციამ 2006 წელს ინსტიტუტის ბალანსზე არ აიყვანა ვაზისუბნის (გურჯაანი) ისტორიული ექსპერიმენტული მეურნეობა 31 ჰა ფართობით, რათა შემდეგ პაატა ჩეკურიშვილზე გაეყიდათ. 2008-2009 წლებში გაყიდეს ინსტიტუტის დაქვემდებარებაში არსებული დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე მიწები და სამეცნიერო მნიშვნელობის ქონება ზესტაფონის რაიონში (საქარა და ზოვრეთი), რომლის მფლობელიც ოთარ სირაძე გახდა. ამ ყველა უკანონობის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ჩვენს მიერ პროკურატურის წინაშე დასმულ კითხვათაგან უპირველესი იყო კითხვა სახელმწიფო ქონება, რომელიც დამოუკიდებელი აუდიტის შეფასებით, 57.655.723,25 ლარს უტოლდება, რატომ გაიყიდა გაცილებით ნაკლებ ფასად, ოთხი მილიონი დოლარის ექვივალენტ ლარად, რა მოტივაცია ჰქონდათ გამყიდველებს, როცა ასეთ დაბალ ფასად ასხვისებდნენ სახელმწიფო ქონებას. ვფიქრობთ, ამ ე.წ. პრივატიზებული ქონების ხელმეორე აუდიტი უნდა ჩატარდეს, რადგან ექსპერტთა დასაბუთებით, მისი ღირებულება 57.655.723 ლარსაც აღემატება. ვითხოვდით სამართლიან, ობიექტურ გამოძიებას, თუმცა ჩვენს ამ საჩივარს არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, როგორც გითხარით, ზუსტად ახალი ხელისუფლების პერიოდში იყო, რომ ინსტიტუტის თანამშრომლები შენობაში არ შეგვიშვეს. როცა მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის მაშინდელ უფროსს ხათუნა პაიჭაძეს დავუკავშირდით და ავუხსენით რა ხდებოდა, პროკურატურა რა შუაშია, თუ რაიმე პრეტენზია გაქვთ პატრულს დაურეკეთო. ადგილზე გამოძახებულმა პატრულმა კი პირიქით, მე დამაჯარიმა ვითომდა ცრუ გამოძახების მოტივით.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

რა ხდება მსოფლიო პოლიტიკის კულუარებში?

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, გასულ კვირას კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია მიიღოს მოულოდნელი და მკვეთრი გადაწყვეტილება, თუ ეს საქმეს სჭირდება, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, რომელსაც იგი სენატში და კონგრესში აწყდება. კვირის დასაწყისში დონალდ ტრამპმა თანამდებობიდან აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი ჯეიმს კომი გადააყენა. პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება ბევრისთვის, მათ შორის, თავად კომისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. გავრცელებული ინფორმაციით, გფბ-ის დირექტორის გადაყენებას მისი უშუალო ხელმძღვანელი, ქვეყნის მთავარი პროკურორიც ითხოვდა.

ჯეიმს კომის გადაყენების მიზეზად მისი არაკომპეტენტურობა და თანამდებობისთვის შეუთავსებელი გამონათქვამები გახდა. გავრცელებული ინფორმაციით, დონალდ ტრამპმა ჯერ კიდევ ინაუგურაციის დღეს გააფრთხილა, რომ განცხადებებში, განსაკუთრებით პრესასთან ურთიერთობისას, ფრთხილად ყოფილიყო. თუმცა ტრამპის მოწინააღმდეგეებმა მისი გადაყენება პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანეს. თავად კომი კი აცხადებს, რომ ტრამპი მის მიმართ ლოიალობას მაიძულებდაო. ექსპერტები კი აღნიშნავენ, რომ კომი ორ სკამზე ჯდომას ცდილობდა, რაც არ გამოუვიდაო.

საინტერესოა ის გარემოება, რომ თანამდებობიდან გადაყენების შესახებ კომიმ ტელევიზიით შეიტყო, როდესაც თანამშრომლებს ხვდებოდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბრძანება გათავისუფლების შესახებ კომის დაბალჩინოსანმა ოფიცერმა გადასცა და არა რომელიმე ოფიციალური მაღალი თანამდებობის პირმა პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან. ეს კი მრავლისმეტყველია. თავად კომი ჯერ კიდევ აპირებს გააკეთოს განცხადება. უცნაურია, მაგრამ ამერიკულმა პრესამ კომის გადაყენება რუსეთის ფაქტორს დაუკავშირა.

სწორედ ამ პერიოდში განახორციელა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა საპასუხო ოფიციალური ვიზიტი აშშ-ში. შეგახსენებთ, რომ აპრილში მოსკოვში ვიზიტით აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით. ტილერსონთან შეხვედრის შემდეგ ლავროვი დონალდ ტრამპმაც მიიღო. აქვე აღსანიშნავია, რომ რუსეთის ოფიციალური პირები, 2013 წლიდან მოყოლებული, თეთრ სახლში არავინ ყოფილა. ამჯერად ლავროვი ოვალურ კაბინეტში მიიღო დონალდ ტრამპმა. შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა საკდესის რუსმა ფოტოჟურნალისტმა გაავრცელა, რამაც, ფაქტობრივად, ამერიკული მასმედიის, შეიძლება ვთქვათ, ისტერია გამოიწვია.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი სტუმარ-მასპინძლებმა სასარგებლოდ და ნაყოფიერად შეაფასეს. ტრამპთან და ტილერსონთან რუსეთის მხარემ რამდენიმე საკითხი განიხილეს. კონკრეტულად რა საკითხები განიხილეს და რაზე შეთანხმდნენ, თავისთავად საიდუმლოდ რჩება, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ შეიქმნება ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი მიზანი იქნება, მოამზადონ და განიხილონ დონალდ ტრამპის და რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის პირისპირ შეხვედრის დეტალები. შეხვედრა ივლისში, დიდი ოცეულის ფარგლებშია დაგეგმილი. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ლავროვის ტრამპთან შეხვედრას ოვალურ კაბინეტში ესწრებოდა, შეიძლება ითქვას, მსოფლიო დიპლომატიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰენრი კისინჯერი.

ვიზიტით ლავროვიც აშკარად კმაყოფილი გახლდათ. „საქმიანი ხალხია, კონკრეტულ საკითხებზე სურთ მოლაპარაკება და მისი განხორციელებაო“, — განაცხადა ბრიფინგზე. რუსი დიპლომატების განცხადებით, ობამას გაფუჭებული საქმის გამოსწორება ახლა გვიწევსო. სავარაუდოდ, რუსეთის მხარე ოპტიმისტურად არის განწყობილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკულმა პრესამ კომის გადაყენება რუსეთის ფაქტორს დაუკავშირა. ლავროვის ვიზიტმა ხომ ცეცხლზე ნავთის დასხმა გამოიწვია. ამის შესახებ ტილერსონისა და ლავროვის ერთობლივ ბრიფინგზე პირდაპირ შეეკითხა კიდეც ერთ-ერთი ჟურნალისტი, კომის გადაყენება თქვენი დამსახურება ხომ არ არისო, რის გამოც ლავროვმა, ფაქტობირივად, მასხრადაც აიგდო.

ამერიკულმა პრესამ ყურადღება გაამახვილა ტრამპის მიერ ლავროვის თბილ მიღებაზე. იქვე გაიხსენეს გერმანიის კანცლერთან დაძაბული და ცივი შეხვედრა. ამის შესახებ ტრამპს კითხვაც დაუსვეს. „მე კოსმეტიკით არ ვარ დაკავებული, საქმეს ვაკეთებო“, — უპასუხა პრეზიდენტმა. როგორც ირკვევა, ტრამპი თავისი პრესსამსახურის საქმიანობით უკმაყოფილოა. სავარაუდოდ, აპირებს შეაჩეროს ყოველდღიური ბრიფინგები. „აჯობებს, თვეში ორ-სამჯერ პირადად ვუპასუხო ჟურნალისტებს მათთვის საინტერესო თემებზეო“, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში.

დონალდ ტრამპის პოლიტიკურ გამოუცდილობაზე ხშირად საუბრობენ. თუმცა, როგორც ჩანს, მთლად ასე არ ყოფილა საქმე. საქმიანი ადამიანის თვისებების გარდა, შორსმჭვრეტელობის უნარიც აქვს. ლავროვის ვიზიტის შემდეგ ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ქვეყნის ხელისუფლება მზად არის აშშ-სთან დიალოგზეო. მართალია, გარკვეული პირობების წამოყენებას აპირებენ, მაგრამ, მათი მხრივ, ფაქტობრივად, უკან დახევას ნიშნავს. ორიოდე დღის წინ კვლავ გამოსცადეს ბალისტიკური რაკეტა, მაგრამ, სავარაუდოდ, დიალოგის დაწყებამდე კვლავ გაგრძელდება მსგავსი პროვოკაციები.

პოლიტოლოგების განცხადებით, მხოლოდ საომარი მოქმედებებით დღეს პრობლემები ვერ გადაიჭრება. მათივე თქმით, აუცილებელია ქვეყნებთან საერთო ენის გამონახვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, აშშ-მა დაკარგოს გავლენა სხვადასხვა რეგიონებში. თუნდაც ავიღოთ აზიის რეგიონი, სადაც ჩინეთი უკვე აშკარად ცდილობს, გაატაროს თავისთვის სასურველი დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკა. ახლახან ჩინეთში გაიმართა „აბრეშუმის გზასთან“ დაკავშირებული სამიტი, რომელშიც აზიისა და ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ. ექსპერტების განცხადებით, სახმელეთო გზა უფრო სწრაფი და მომგებიანია, ვიდრე საზღვაო გადაზიდვები.

ამ შემთხვევაში აშშ „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

სამხრეთ კორეა რეგიონში აშშ-ის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა. ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მუნ ჯან ინმა განაცხადა, რომ კორეის კუნძული მათ ეკუთვნის და იქ არსებული ყველა პრობლემა კორეელმა ხალხმა უნდა მოაგვაროსო. აქვე აღსანიშნავია, რომ იგი წინააღმდეგია ქვეყანაში ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარების განთავსებაზე, რაც მრავლისმეტყველი ფაქტია.

ევროპაში, ექსპერტების განცხადებით, სრული პოლიტიკური ქაოსია. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ევროპის ქვეყნებიდან აშშ-ის მთავარი მოკავშირეა, ცდილობს, თავის სასარგებლოდ, ზოგჯერ აშშ-ის გვერდის ავლით, თავისი პოლიტიკა გაატაროს. ანგელა მერკელი თეთრ სახლში ცივად მიღების შემდეგ აშკარად განაწყენებულია, საფრანგეთის ახლადარჩეული პრეზიდენტები პირველ ოფიციალურ ვიზიტს ტრადიციულად აშშ-ში ახორციელებდნენ. ტრადიცია ემანუელ მაკრონმა დაარღვია და პირველივე სამუშაო დღეს ვიზიტით ეახლა ანგელა მერკელს. ამით მაკრონმა აჩვენა, რომ საფრანგეთი თუ არა, პირადად ის მერკელზეა ჩამოკიდებული.

დონალდ ტრამპი, სავარაუდოდ, თვლის, რომ რუსეთთან გარკვეული ურთიერთობის აღდგენა და გაუმჯობესება აუცილებელია. ამიტომაც ორივე ქვეყნის ლიდერები და დიპლომატები შეეცდებიან საერთო ენის გამონახვას. თუმცა, პოლიტოლოგები და ექსპერტები არ გამორიცხავენ პოლიტიკური პინკ-პონკის თამაშს. მაგალითისთვის ალიასკაზე გამართულ არქტიკის ქვეყნების სამიტს ასახელებენ, რომელიც ტრამპთან შეხვედრის მეორე დღეს შედგა. სწორედ ალიასკიდან ეხმარებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ თავის მოკავშირე საბჭოთა კავშირს საჰაერო გზით. იქ, ალიასკაზე, არის საბჭოთა და ამერიკელი მფრინავების მემორიალი, რომელიც ლავროვმა ყვავილებით შეამკო, მაგრამ ტილერსონი იქ არ გამოჩენილა. ალბათ, ეს ფაქტიც პოლიტიკური თამაშის ერთ-ერთი ნაწილია, თამაში კი, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

გია ბურდული
551 71 27 07

სოსო მანჯავიძე:

ვაფრთხილებ ხელისუფლებას – დაელაპარაკეთ ხალხს, სანამ დროა!

გვესაუბრება თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ბატონი სოსო მანჯავიძე.

— საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი განიხილება, ბატონო სოსო, რას ფიქრობთ, არის პერსპექტივა, უკეთესი კონსტიტუცია მივიღოთ?

— პირველ რიგში, აბსოლუტურად გაუგებარია საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის ფორმატი. საინტერესოა, რა კრიტერიუმის გათვალისწინებით დაკომპლექტდა საკონსტიტუციო კომისია და ა. შ. არავინ განუმარტა ეს საზოგადოებას, არც ის, თუ რამ განაპირობა საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობა, არავის შეკითხვია არავინ, რა უნდოდა და რა სჭირდებოდა ხალხს.

მოდი, გამოვყოთ ყველაზე მტკივნეული თემა — მიწის საკითხი. ხალხი ითხოვს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწები არ გასხვისდეს. იმის მაგივრად, რომ ქართველი ხალხისთვის ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი პოზიცია განემარტოს ქართველ ხალხს, პარლამენტის თავმჯდომარე აკეთებს განცხადებას, რომ, თურმე, ნუ იტყვით და, არ აიკრძალება უცხოელებზე მიწის გაყიდვა.

მე კარგად მესმის, მან იგულისხმა, რომ ყველაფერი დარეგულირდება ორგანული კანონით, მაგრამ მას უნდა ესმოდეს, რომ მოსახლეობას უნდა ელაპარაკო მათ ენაზე. როცა პოლიტიკოსი ხარ, კეთილი უნდა ინებო და ადამიანებს გადაუთარგმნო, რაც აინტერესებს და რაც აწუხებს. ქართველი ხალხი დღეს არის ქონებრივ შეჭირვებაში და ყველას ესმის, თუ არ იქნა ამკრძალავი შეზღუდვა უცხოელებზე მიწების გასხვისების კუთხით, დავრჩებით უმიწაწყლოდ.

პოლიტიკოსმა, ასევე, კეთილი უნდა ინებოს და განუმარტოს ხალხს, რომ ორგანულ კანონში იქნება აკრძალვა, რომელიც გამორიცხავს იმას, რომ ქართული სასოფლო-სამეურნეო მიწა გადავა უცხოელების ხელში.

ამის მაგივრად პირდაპირ, თითქოს სადღაც სამეცნიერო ან პოლიტიკურ კონფერენციაზე იყვნენ, ხალხისთვის გაუგებარ ენაზე დაიწყეს ლაპარაკი. ახლა თავიანთ თავს დააბრალონ და კეთილი ინებონ, აიტანონ ის ლანძღვა-გინების ნიაღვარი, მათი მისამართით რომ მიედინება.

პასუხისმგებლობა აიღონ იმათ, ვინც ასეთი ხალხი პარლამენტში შეიყვანა და დასვა კომიტეტებში თავმჯდომარეებად.

თავიდანვე ცხადი იყო, რომ ყველაფერი ასე მოხდებოდა და მოხდა კიდევაც, მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ?

აბსოლუტურად მიუღებელი და შეურაცხმყოფელი კინკლაობა პრეზიდენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და საკანონმდებლო ორგანოს შორის უკვე მარაზმში გადაიზარდა.

როგორც ვხედავთ, სურთ მარგველაშვილის უფლებებს ქართველი ხალხი გადააყოლონ. მოიფიქრეს რაღაც 300 ხმოსანი და მსგავსი წარმოუდგენელი რამეები, რაზე საუბარიც კი ზედმეტად მეჩვენება.

მერწმუნეთ, ყველაფერი ძალიან მძიმე შედეგებს გამოიწვევს, მოხდება ხელისუფლების საბოლოო დისკრედიტაცია და ვიღაცებს თუ ჰგონიათ, რომ მათი პასუხისმგებლობის საკითხი არასდროს დადგება, ძალიან ცდებიან.

კარგად ვხედავთ, რომ ლიბერალური ფრთა, რომელიც მოკალათებულია ეკონომიკის სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში და სხვა სამინისტროებში, ჰყავთ ინსტრუქტორები ისრაელიდან. მათ წარმომადგენელთან მე მქონდა ხანგრძლივი დისკუსია. გახსოვთ თქვენ, ლამის ჩხუბში გადაიზარდა ყველაფერი, რადგან დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთაშორისო აუქციონებზე გატანა. არ შეიძლება ეს დავუშვათ!

— გასაგებია, მაგრამ ბოლო დღეებში განმარტეს, რომ მიწის გაყიდვა-არგაყიდვასთან დაკავშირებით კონსტიტუციაში არაფერი იქნება ჩაწერილი, ქარიშხალს ტყუილად ნუ სტეხთო.

— კი, მაგრამ, რატომ არ უნდა იყოს კონსტიტუციაში ჩაწერილი ამ მტკივნეული და სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის შესახებ? ყველას ხომ ესმის, ეს საკითხი არის სამკვდრო-სასიცოცხლო ქართველი ხალხისთვის, არ არის ხელწამოსაკრავი თემა და სუფრიდან-სუფრაზე მოკლე შეხვედრებისას გადასაწყვეტი?!

— რას ფიქრობთ ვინმეს კერძო ინტერესები ამოძრავებს?

— არავითარი კერძო ინტერესი. ესენი იდეოლოგიურად ასეთები არიან.

ეკონომიკის მინისტრმა, ბატონმა გახარიამ პირდაპირ ბრძანა — მიწა საერთაშორისო ეკონომიკურ ბრუნვაში უნდა შევიდესო. ვიღაცებს, თურმე ამ

დენტის სტატუსის და უფლებამოსილებების სტანდარტი?

— მე, პირადად, საპრეზიდენტო მმართველობის მომხრე ვარ. მით უფრო, ჩვენს ქვეყანაში, სადაც არც პარტიული სისტემებია ჩამოყალიბებული და არც სხვა რამ, რაც საპარლამენტო რესპუბლიკის წანაძღვრების თუნდაც კონტურებს გამოკვეთავდა. ახლა საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად რომ გამოაცხადო, ეს იქნება პოლიტიკური პოეზია.

ისმის გამონათქვამები — თუ არ გაჩერდება პრეზიდენტი, საერთოდ ავკრძალავთ მის არსებობას. კი, არის მთავარსარდალი, მაგრამ შევცვლით მოდელს და თუ დაემორჩილება ჯარი, იმასაც ვნახავთ და ა.შ. და ა. შ. მოკლედ, მე არ ვიცი, ამას რა ჰქვია. მართლაც უკვე ორღობეში ვცხოვრობთ, მგონი. რასაც უნდათ, იმას აკეთებენ და აკეთებენ უცოდინრად, სასაცილოდ, მოიხსნეს აბსოლუტურად ყველა ლეგიტიმაცია. მოკლედ, რა გითხრათ, როგორ შეიძლება მე ჩასაფრებული ვიყო, ან მიხაროდეს ეს მდგომარეობა, როცა ვიცი, რომ ყოველივე გამოიწვევს არეულობას, კრიზისებს და სადამდე უნდა ვუყურეთ, როგორ რევენ და ფუშავენ მავნებლები სახელმწიფოებრიობას და საერთოდ, ქვეყანას.

— და ასე ნელ-ნელა ვუახლოვდებით არჩევნებს.

— სამწუხარო ამბავია, რომ მარტო არიან დარჩენილი პოლიტიკურ ველზე და პრობლემა ის კი არ ექნებათ, არჩევნებისთვის გაიმარჯვონ თუ არა, არამედ ის, როგორ შექმნან მოწინააღმდეგე, ალტერნატიული ძალა, რადგან, ფაქტობრივად, მოწინააღმდეგე, პოლიტიკურ პროცესებში აღარ არსებობს.

— რა ხდება, ბატონო სოსო, რატომ შეიქმნა ასეთი ვითარება ქვეყანაში?

— თქვენ გინახავთ ვინმე, ვინც აზრს გამოიტანდა, რა ხდება ქვეყანაში?

კომიკური ისაა, ყველამ ყველაფერი იცის, საბოლოო ჯამში, ყველა თანმხდება, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, მაგრამ ვინ უნდა გამოცვალოს? — გიორგი კვირიკაშვილი არის იმ საკონსტიტუციო უმრავლესობის ხელმძღვანელი, რომელიც ირჩევს პრემიერს, ამ პრემიერს ირჩევს საკონსტიტუციო უმრავლესობა და არავითარი კონსტიტუციური მექანიზმი არ არსებობს, ვინმემ გადააყენოს პრემიერ-მინისტრი.

— აქვე დაგისვამთ ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვას: გამოსავალი რა არის?

— გამოსავალი მოინახება, მაგრამ ეს არ იქნება დადებითი შედეგის მომტანი. რეალობა შეიცვლება, მაგრამ როგორ? კარგს რომ არაფერს მოველით, ესეც ნათელია, რაოდენ პესიმისტურადაც უნდა მოგეჩვენოთ.

ამდენი ხნის განმავლობაში იყო აპელირება იმაზე, რომ ვინც „ქართულ ოცნებას“ უპირისპირდებოდა, ნაცების მომხრე იყო. მაგრამ აღარ არიან ეს ნაცები. აღარც მიშა თხრის გვირაბებს, არც ბოკერია აფეთქებს ნაღმებს და არც „რუსთავი-2“-ის ბუნტია მოსალოდნელი.

დარჩა „ქართული ოცნება“ „უმტეროდ“.

ვაფრთხილებ ხელისუფლებას — ხალხი მზადაა ქუჩაში გამოსასვლელად. ნუ მიიყვანთსაქმეს აქამდე, დაელაპარაკეთ ხალხს და მის მხარეზე დადექით, სანამ დროა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ძლიერი რეგიონები

წყალტუბო

წყალტუბოში მცხოვრებ დევნილებს გრანტები გადაეცათ

მთავრობის სპეციალური საგრანტო პროგრამა „ეკონომიკური შესაძლებლობების თანაბარი ხელმისაწვდომობა დევნილებისთვის“ ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული და მისი ბიუჯეტი 810 ათას აშშ დოლარს შეადგენს. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. პროგრამას დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის საგენტო და გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია ახორციელებენ. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით უკვე 475 დევნილი დაფინანსდა. იმერეთში 53 დევნილს 70 ათასი დოლარის გრანტი გადაეცა.

ამ პროგრამის ფარგლებში წყალტუბოში მებოცვრეობის ფერმა, ხოლო სოფელ ქვიტირში ხორცპროდუქტების მცირე საწარმო გაიხსნა. მცირე ბიზნესის ამ საწარმოების მუშაობას გაეცნენ ლტოლვილთაAდა განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, იმერეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, ვიცე-გუბერნატორი იოსებ ხახალეიშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე მამისეიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ახალაძე. მათ გამარჯვებულ ბენეფიციარებს გადასცეს ხელშეკრულებები, ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე. გაირკვა, რომ უკვე წარმატებული მეწარმეები მომავალში დაწყებული ბიზნესის გაფართოებას გეგმავენ.

„სახელმწიფო სტრატეგია დევნილებთან მიმართებით ორ ძირითად ასპექტს ითვალისწინებს — ესაა საცხოვრებლით უზრუნველყოფა და შემოსავლის წყაროები, რომ დევნილები არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ საარსებო მინიმუმზე და თავად შეძლონ საკუთარი ოჯახების უზრუნველყოფა“, — აღნიშნა სოზარ სუბარმა.

ქახეთის მუნიციპალიტეტების სოფლების სეტყვისგან დასაცავად

„დელტას“ სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მუშაობის შედეგად 10-11 მაისს კახეთში განსაკუთრებით ძლიერი სეტყვასაშიში პროცესები განეიტრალდა, რისთვისაც სისტემამ 292 რაკეტა გაისროლა.

საშიშმა ღრუბლის მასებმა ეტაპობრივად მოიცვა ახმეტის, თელავის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, ყვარლისა და დედოფლისწყაროს რაიონები. ღრუბლების ეტაპობრივად დამუშავების შედეგად ნალექის სრული მასა აღნიშნული რაიონების თავზე ინტენსიური წვიმის სახით ჩამოიცალა.

ყვარელში ქუჩების რეაბილიტაცია დასრულდა

ქალაქ ყვარელში რეაბილიტირებული ილია ჭავჭავაძისა და რაჭის ქუჩიებს 1200- მეტრიანი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია დასრულდა. ილია ჭავჭავაძის ქუჩის ცენტრალური ნაწილის 900-მეტრიან და რაჭის ქუჩის 300-მეტრიან მონაკვეთებზე, ამორტიზებული სანიაღვრე არხების ნაცვლად, დახურული ტიპის სანიაღვრე არხები მოეწყო, დაიგო ორფენიანი ასფალტი, სანიაღვრე არხების ადგილზე მოეწყო ტროტუარები და გაზონები, დაიხაზა და შეიღება ღერძულა ხაზი და ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები. პროექტი რეგიონალური ფონდიდან დაფინანსდა და ჯამში 1 755 000 ლარი დაიხარჯა. სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია შპს „სერპანტინმა“ შეასრულა. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები შარშან 4 აპრილს დაიწყო და ტენდერით გათვალისწინებულ ვადებში დროულად დასრულდა.

ყოველკვირეული დასუფთავების აქცია ფოთში

ფოთის მუნიციპალიტეტში ყოველ შაბათს ეწყობა დასუფთავების აქცია „სუფთა ქალაქი“, რომელიც ფოთის მერის ირაკლი კაკულიას ინიციატივით იმართება. დასუფთავების აქციაში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები არიან ჩართული.

აქციის ფარგლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გასუფთავდა ქალაქის შემოსასვლელი გზები (ნაბადის და მალთაყვის ტერიტორია). აქციის მთავარი მესიჯია — „ერთად ვიზრუნოთ გარემოზე.“ ქალაქის მერის განცხადებით, დასუფთავების აქცია სისტემატურ ხასიათს ატარებს და იგი ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიაზე ყოველ შაბათს ეწყობა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტები 2017 წლს

ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საავტომობილო გზების აღდგენაა. ჯამში, მიმდინარე წელს 10 კილომეტრამდე გზის მონაკვეთებზე ასფალტბეტონის საფარი უნდა დაიგოს. 4 მსხვილ პროექტს რეგიონული ფონდი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინასებით განახორციელებს. რამდენიმე მილიონის ღირებულების სხვა 2 პროექტი კი მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსური რესურსით შესრულდება.

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ალექსანდრე გრიგალავას განცხადებით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის 2017 წელს საქართველოს მთავრობამ 2 270 000 ლარი გამოყო, რომლითაც ოთხი პროექტი განხორციელდება:

1. სოფ. სალხინოსა და წაჩხურას უბნის დამაკავშირებელ გზაზე ასფალტბეტონის საფარის დაგება (მესამე ეტაპი), რაზეც 475 000 ლარია გამოყოფილი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება კი 25 000 ლარს შეადგენს და 1,720 კილომეტრის გზის აღდგენაზე სულ 500 000 ლარი დაიხარჯება.

2. სოფელ ხუნწისა და სოფელ ნაგვაზაოს დამაკავშირებელი გზის ასფალტბეტონის საფარით აღდგენა. მეორე ეტაპის სამუშაოებისთვის რეგიონული ფონდიდან 702 500 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი 47 500 ლარი, სულ 750 000 ლარი დაიხარჯება. 3, 905კმ-ის გზის აღდგენას ჯამში 1 150 000 ლარი მოხმარდება..

3. სოფ. გურძემის 2,7კმ-ის გზის ასფალტბეტონის საფარის დაგებაზე რეგიონული ფონდიდან 665 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი 35 000 ლარი, სულ, 700 000 ლარი დაიხარჯება.

4. სოფ. კურზუსა და დღვანის უბნის დამაკავშირებელი 1,5 კმ-ის გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები რეგიონული ფონდიდან 427 500 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი 22 500 ლარით ფინანსდება, რაც 450 000 ლარს შეადგენს. კურზუს, გურძემის და სალხინოს გზის აღდგენაზე ტენდერი 1 650 000 ლარის სამუშაოებზე ერთად არის გამოცხადებული.

ჯამში, მიმდინარე წელს, მარტვილის მუნიციპალიტეტში 10 კილომეტრამდე საავტომობილო გზის საფარი აღდგება. ოთხი პროექტის საერთო ღირებულებაა 2 400 000 ლარი, რომელშიც რეგიონული ფონდის დაფინანსების წილი 2 270 000 ლარია, ადგილობრივი ბიუჯეტის კი — 130 000 ლარი.

დუშეთში იაფი მუნიციპალური ტრანსპორტის პროგრამა ამოქმედდა

26 წლის შემდეგ დუშეთში მუნიციპალურ ტრანსპორტს პირველი მგზავრები ჰყავდა: ქ. დუშეთის მიმართულებით, მოქალაქეებთან ერთად, სხვადასხვა მარშრუტით იმგზავრეს დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა, გამგებლის პირველმა მოადგილემ ბექა ღარიბაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ გივი ზურაბაშვილმა. პროგრამა დუშეთის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით თითოეული სოფლისთვის ამოქმედდა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები ქ. დუშეთში მოსახვედრად იძულებული იყვნენ რამდენიმე კერძო ტრანსპორტი გამოეცვალათ ან ჩასულიყვნენ ქ. თბილისში და იქიდან საქალაქთაშორისო ტრანსპორტით ესარგებლათ. დღეიდან აღნიშნული პროგრამით ყველა სოფლის მოსახლე უზრუნველყოფილი იქნება იაფი ტრანსპორტით, რომელიც მათ ქალაქ დუშეთთან და პირიქით, ყველა სხვა დასახლებულ პუნქტთან დააკავშირებს. მუნიციპალური ტრანსპორტი მოქალაქეს საშუალებას მისცემს, დაზოგოს გადაადგილებისთვის საჭირო თანხა და დრო.

პროგრამის ამოქმედებით 27 ადგილობრივი მძღოლი დასაქმდა. მუნიციპალური ტრანსპორტი მოქალაქეებს კვირაში 2 დღე მოემსახურება და 27 მიმართულებით იმოძრავებს.

გარდა ამისა, დუშეთის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეღავათიანი მგზავრობისა და მაღალმთიანი სოფ-

ყვარელი

ძლიერი საქართველოსთვის

ლებიდან უფასო მგზავრობის პროგრამები: ადგილობრივი სტუდენტების თანადაფინანსების პროგრამით ყოველწლიურად სარგებლობს 170-მდე სტუდენტი, მაღალმთიანი სოფლებიდან უფასო მგზავრობის პროგრამა კი, ყოველ კვირა დღეს, მოსახლეობას საშუალებას აძლევს, უფასოდ იმგზავროს და დუშეთის აგრარულ ბაზარში სარეალიზაციოდ ჩაიტანოს პროდუქცია.

„აწარმოე საქართველოში“ — შეხვედრა ბორჯომის მუნიციპალიტეტში

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ — ფარგლებში, დაინტერესებულ პირებს რეგიონში ბიზნესის წამოწყების შესახებ 15-დან 31 მაისის ჩათვლით ბიზნესიდეების რეგისტრაცია შეეძლებათ ვებგვერდზე: წწწ.ქართული.გე

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლება ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ახალი ბიზნესის წამოწყება ან არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღება სჭირდება.

მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ორ ძირითად ეტაპს. პირველ ეტაპზე წარსადგენია ბიზნესიდეის განაცხადი. გამოვლინდებიან გამარჯვებულები — საუკეთესო იდეების ავტორები, რომლებსაც ჩაუტარდებათ ტრენინგი მეწარმეობის შესახებ (მოიცავს ბიზნესგეგმის მომზადების საკითხებსაც). მეორე ეტაპი გულისხმობს ბიზნესგეგმის წარდგენას, კონკურსს, რომლის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას და ჩაუტარდებათ როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური ტრეინინგები.

ინფრასტრუქტურული პროექტები რუსთავში

56 შიდა ეზოს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, ბათუმის ქუჩის №17, მე-12 მიკრორაიონის №32, №34, მე-17 მიკრორაიონის №10, №18, №19, მე-19 მიკრორაიონის №4, №7, №8, №10, №12, №18, მე-20 მიკრორაიონის №16, №20, მე-20 მიკრორაიონის №16, №20 საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ სკვერი ეწყობა.

პარალელურად, თოდრიას ქუჩაზე გზის საფარისა და ტროტუარების რეაბილიტაცია გრძელდება. ასფალტის საფარის განახლებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები ხორციელდება შარტავას გამზირისა და მესხიშვილის ქუჩის I გასასვლელის დამაკავშირებელ გზაზეც.

გრძელდება მრავალსართულიან კორპუსებში ბუნკერების დალუქვის პროცესიც.

რუსთავის მერი დავით ჯიქია, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებთან ერთად სისტემატურად ეცნობა სამუშაოების მიმდინარეობას.

რუსთავი

თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მოსახლეობასთან შეხვედრები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დასახლებებში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ერეკლე კუხიანიძე სოფელ ორბეთისა და დიდგორის მოსახლეობას შეხვდა და პირადად მოისმინა ინფორმაცია აღნიშნულ დასახლებებში არსებული პრობლემების შესახებ.

ერეკლე კუხიანიძემ მოსახლეობას მიაწოდა ინფორმაცია გამგებლის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობის გადახალისების შესახებ და წარუდგინა თავისი ინიციატივა -— საბჭოს შემადგენლობის ფორმირების პროცესში მოსახლეობამ საკუთარი თემიდან თვითონ აირჩიოს ნდობით აღჭურვილი პირები და წარუდგინოს გამგებელს.

„მნიშვნელოვანია, გარანტირებული იყოს მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღების, მუნიციპალიტეტში პროექტების დაგეგმვისა და ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, თვითონ დასახონ და განსაზღვრონ პრიორიტეტული მიმართულებები“, — აღნიშნა ერეკლე კუხიანიძემ.

ერეკლე კუხიანიძე იმყოფებოდა სოფელ ჯიგრაშენშიც, სადაც მაღალმთიანი აჭარიდან სხვადასხვა პერიოდში მიგრირებულ მოსახლეობას შეხვდა.

ეკომიგრანტი მოსახლეობის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხს განიხილავს და შეისწავლის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. მოსახლეობა უნდა დარეგისტრირდეს ერთიან ელექტრონულ ბაზაში, ან აღრიცხვისთვის მიმართოს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოებს და შეავსოს განაცხადი. მხოლოდ ამის შემდგომ იწყებს სამინისტრო მოკვლევას და სპეციალური კრიტერიუმების გათვალისწინებით მინიჭებული სარეიტინგო ქულების შესაბამისად, ახორციელებს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას.

გრანტები შიდა ქართლის მოსახლეობას

შიდა ქართლის რეგიონის სხვადასხვა სოფელსა და ჩასახლებებში მცხოვრებმა დევნილებმა გრანტების საშუალებით შეიძინეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მსხვილფეხა საქონელი, ფუტკრის სკები, მოაწყვეს ხეივნები და სათავსოები.

უახლოეს მომავალში შიდა ქართლის რეგიონში გრანტი კიდევ 62 დევნილს გადაეცემა. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით უკვე 475 დევნილი დაფინანსდა.

საგრანტო პროგრამა „ეკონომიკური შესაძლებლობების თანაბარი ხელმისაწვდომობა დევნილებისთვის“ ევროკავშირის მიერ არის დაფინანსებული და მისი ბიუჯეტი 810 006 აშშ დოლარს შეადგენს. პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. პროგრამას დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია ახორციელებენ. დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ მცირე მეწარმეობის დასაწყებად ან განსავითარებლად შიდა ქართლის რეგიონში გრანტი 158 დევნილს გადასცა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში თერგვისში, ფხვენისსა და ქორდში დევნილებისთვის დაფინანსებული პროექტები დათვალიერა და დევნილებს გრანტის მიღების დამადასტურებელი ხელშეკრულებები გადასცა.

შუახევი — ტარიელ ებრალიძემ წყალსადენზე მიმდინარე სამუშაოები დათვალიერა

შუახევში, სოფელ მახალაკიძეებში წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა მიმდინარეობს. 6-კმ-იანი წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა სანალიას მთიდან ხორციელდება. პროექტი მუნიციპალიტეტისა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ თანადაფინასებით მიმდინარეობს. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „ტუსკი გეოლოგ გრუპი“ აწარმოებს.

მიმდინარე პროექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებით 1-ლ ნოემბრის უნდა დასრულდეს. დასრულებული პროექტით რაბათის უბნისა და მახალაკიძეების 83 ოჯახი ისარგებლებს.

ამ დროისათვის მიმდინარეობს მიწის გრუნტის დამუშავება და მილების ჩაწყობა - შედუღებითი სამუშაოები. დასრულებულია წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა.

მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებელმა ტარიელ ებრალიძემ ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაათვალიერა.

„შახაიშის თორმეტი სიზმრის შესახებ“

ბიბლიაში მოცემულია რამდენიმე ცნობა, რომლებშიც სიზმარი ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ, ღმერთთან ურთიერთობის ერთ-ერთ საშუალებადაა, აღწერილი. მაგალითად, ღმერთი სიზმრის საშუალებით დაუკავშირდა აბრაამს, იაკობსა და იოსებს. ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა ღვთისგან იხილა წინასწარმეტყველური სიზმარი. აქედან გამომდინარე, შეიძლება საფუძვლიანი მიზეზი არსებობდეს იმის დასაჯერებლად, რომ ღმერთი დღესაც კი სიზმრების საშუალებით გვაწვდის ცნობებს? ბიბლიაში ღვთისგან შთაგონებული სიზმრები ყოველთვის განსაკუთრებული მიზეზის გამო ესიზმრებოდათ. სინამდვილეში მას, ვინც სიზმარს ხედავდა, ზოგჯერ არ შეეძლო დაუყოვნებლივ გაეგო მისი მნიშვნელობა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში „საიდუმლოთა გამცხადებელი“ თვითონვე უხსნიდა მათ სიზმარს ისე, რომ მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით არანაირი ეჭვები აღარ რჩებოდა. ღვთისგან შთაგონებული სიზმრები არ იყო გაურკვეველი და ლოგიკას მოკლებული, რაც ხშირად ჩვეულებრივი სიზმრებისთვის არის დამახასიათებელი.

XIII-XIV საუკუნეებში გაჩნდა. ხელნაწერი, „შახაიშის თორმეტი სიზმრის შესახებ“ მოღწეულია ორი რედაქციით. მრავალ ხელნაწერში მეფე მამერად იწოდება. ხოლო იმ ხელნაწერებში, სადაც მეფეს სახელი - შახაიშია, მამერი იმ ფილოსოფოსის (ქრისტეანის) სახელია, რომელმაც მეფეს სიზმრების განუმარტა. ქრისტეს შობიდან 835 წელს დიდი ასურეთის ქალაქ ირინეაში ცხოვრობდა ხელმწიფე მამერი; მეფემ იხილა 12 საშინელი სიზმარი, რამაც დიდად შეაძრწუნა. ძილისგან აღდგომილმა ფილოსოფოსთა და ბრძენკაცთ მოუხმო, რათა აეხსნათ მისი ხილვანი, მაგრამ ამაოდ - ვერავინ შესძლო ღვთის საიდუმლოთა ამოცნობა. დამწუხრებულ მეფეს ღმრთის სულით განბრძნობილი ქრისტანი, ფილონი ეწვია და უთხრა: “ეჰა, მეფეო, მაუწყენ ხილვანი შენნი, რომელნი იხილენ”. სიზმარი პირველი -ხელმწიფემ ბრძანა: ვიხილე დიდი სვეტი, რომელზეც მტრედი შემომჯდარიყო; უეცრად სვეტი დაიშალა, მტრედი კი ცად აიჭრა. ამის შემდეგ ყორანი მოფრინდა და ოქროს აკენკვა იწყო, მის შორიახლო მხეცნი ბრდღვინავდნენ და გველნი სისინებდნენ. ქრისტეანმა უთხრა: ეს შენი მეფობისას არ მოხდება, მეფეო, არამედ ბოლო ჟამს, აღსრულდება შენი ხილვა. წინასწარმეტყველმა ეზეკიელმა ბრძანა, რომ ბოლო ჟამს მძვინვარე და სასტიკი დროება იქნება მთელს დედამიწაზე. კაცნი უსამართლონი და უმოწყალონი გახდებიან, არც კეთილი აზრი ექნებათ და არც ღმრთის შიში და მოკრძალება. უფლის მცნებებს არ დაიცავენ და ყველანი ერთურთს შეიძულებენ. იქნება დიდი შიში და არეულობა. კაცთა სისხლი წყალივით დაიღვრება და დიდი გოდებით იგოდებენ სულიერნი, ადამიანები ცრუნი იქნებიან და სიმართლე, როგორც მტრედი ცისკენ აიჭრება, სიტყვით კეთილნი იქნებიან, გულით კი იზრახვენ ბოროტს, სხვებს ქრისტეს მცნებებით დამოძღვრავენ, თავად კი უკეთურნი იქნებიან, ბრძენთა და განათლებულთა შორის ლოთობა და ბილწსიტყვაობა გავრცელდება, მოსწავლენი მოძღვრებზე უფრო ბრძენნი იქნებიან. დიდი ღრუბელი ჩამოაწვება მაშინ მთელს ქვეყანას, ბუნებითნი წესნი დაირღვევიან, ზაფხული ზამთრად და ზამთარი - ზაფხულად შეიცვლება. უეცრად აცივდება ზაფხულს და შუა ზამთარს ხვატი დადგება, და იქნება მაშინ, რომ აერევათ ჟამი და როდის რა დასთესონ არ ეცოდინებათ. თავიანთი უკეთურობისა და უსამართლობის გამო მრავალს დასთესენ და მცირეს მოიმკიან, მზე გაფერმკრთალდება და მთვარე შეიცვლება, ვარსკვლავნიც იცვალვიან. კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდება და საშინელი ქუხილნი და ელვანი შეაძრწუნებენ ქვეყანას, მიწა შეიძვრება და მრავალი ქალაქი დაინგრევა, დიდი სიკვდილიანობა იქნება კაცთა შორის, პირუტყვი განადგურდება, ხეები გახმებიან, დაწყდება თევზი და ყოველი მცენარეული შემცირდება; საბოლოოდ კი ეს ქვეყანაც განილევა. - სიზმარი მეორე - ვიხილე, ჩემს თვალწინ, ზეცად, ფრიად საშინელი, მუცელგამობერილი და შიშველი სხეული გადმოკიდულიყო. ქრისტეანმა მეფეს მიუგო: როდესაც ის ბოროტი ჟამი მოიწევს, უცნაურად, უაზროდ და უცხოდ შეიმოსებიან კაცნი და იქნებინა, როგორც შიშველნი. უხამს და გარყვნილ ჩაცმულობას მარტივი გონების მესაკუთრეთა საცთუნებლად შეივყვარებენ დედაკაცნი და ყოველნი ამ გარყვნილებით მოიხიბლებიან. მდიდარნი და მუცელღმერთნი ღარიბთა და მაშვრალთ შეიძულებენ, ხოლო ამქვეყნიური დიდებით მოსილთა და მდიდართ საკუთარ ნათესავებზე უმეტეს პატივს მიაგებენ. სიზმარი მესამე - და თქვა ხელმწიფემ მესამე სიზმარი: “ერთ თოკზე სამი ერთნაირად ადუღებული ქვაბი იყო ჩამოკიდული. პირველ ქვაბში ქონი იხარშებოდა, მეორეში - ზეთი, ხოლო მათ შუა გამოკიდებულ მესამე ქვაბში, - წყალი. ზეთი ქონში გადადიოდა და ქონი ზეთში, წყალში კი მათგან მისხალიც არ ეწვეთებოდა”. მიუგო ქრისტეანმა: იმ უკანასკნელ ჟამს მდიდართა შორის ღატაკნი და უპოვარნიც იცხოვრებენ. დიდ პატივს მიაგებენ ერთურთს მდიდარნი. ერთმანეთს მდიდრულ სუფრებზე მიიწვევენ, მშივრებსა და გლახაკთ კი სუფრის ნარჩენებსაც არ აღირსებენ. იქნებიან მევახშენი და გაწუწურაქებულნი. ღარიბს საკუთარი ნათესავებიც კი მოიძულებენ. სიზმარი მეოთხე -და თქვა ხელმწიფემ მეოთხე სიზმარი: ვიხილე ჭაკი ვირი, - უყვიროდნენ და აგინებდნენ, ის კი, დამშეული, ბალახს ძოვდა, ირგვლივ შვილები შემოსდგომოდნენ და ლოკავდნენ. ქრისტეანმა მიუგო: იმ საშინელ და უკანასკნელ ჟამს დედანი ანგარებით შეპყრობილნი იქნებიან და შვილებს სამეძაოდ გაიმეტებენ და დას წააქეზებს სამეძაოდ, რძალი - რძალსა და თავადაც მიეცემინა გარყვნილებას. იმ დროს შვიდწლიანთა შორისაც კი არ იქნებიან უბიწონი, რამეთუ ყოველნი გაიხრწნებიან და ეს წუწურაქნი გარყვნილ და მრუშ ცხოვრებას შეიყვარებენ. საკუთარ ცოლებს განიოტებენ მამაკაცნი და თანამეცხედრედ მეძავთაგან აიყვანენ, ყურს არ დაუგდებენ მამებს და არც დედათა შეგონებებს შეისმენენ, თავიანთ ცოლთა ჭკუაზე მავალნი, მათვე მიბაძავენ. ათასიდან ერთი დედაკაცი და ხუთასიდან ერთი მამაკაცი თუ აღმოჩნდება შეურყვნელი იმჟამად. სიზმარი მეხუთე - და თქვა ხელმწიფემ მეხუთე სიზმარი: ვიხილე მელა სკორეზე გაწოლილიყო და თავის ლეკვებს უყეფდა, ხოლო ლეკვნი მას უყებდნენ. ქრისტეანმა მიუგო, - მშობელნი თავიანთ შვილთა კეთილად დამოძღვრას შეეცდებიან, ხოლო შვილნი არ დაემორჩილებიან. უფლის მცნებას: “პატივი ეც დედასა შენსა და მამასა შენსა”, დაივიწყებენ. გაკიცხავენ მშობელთ პირმშონი და ეტყვიან: “სულელნო, უგუნურნო და უგულისხმონო! დიდხანს იცხოვრეთ და გამოშტერდით, ჩვენ ჩვენი ჭკუით გვინდა ცხოვრება”. მშობლებზე მეტად ცოლებს მიაგებენ პატივს, მათი შემხედვარე მშობლები კი ატირდებიან.

სიზმარი მეექვსე- და თქვა მეფემ მეექვსე სიზმარი: ერთ ქვეყანაში დიდი შიში და შეძრწუნება ვიხილე; აქ მრავალი მძვინვარე, საშინელი, ორთავა და სამფეხა მხეცი გამრავლებულიყო. თავებზე გვირგვინები ედგათ, ხოლო თავად ენაგადმოგდებულნი ხტუნაობითა და კოჭლობით მიმოდიოდნენ. თავებს უცნაურად აქიცინებდნენ, ბალახს გლეჯდნენ, ხეებს კორტნიდნენ, ბრჭყალებით კი მიწას თხრიდნენ და საშინლად აღრენილნი კაცთა შეჭამას ლამობდნენ. უეცრად, ცეცხლი გარდამოხდა ზეცით და შთანთქა ისინი. მათი გვირგვინები კი დანახშირდა. ქრისტეანმა მეფეს მიუგო: გამხეცდება კაცთა მოდგმა, მეფეო. ბოროტნი ღვთისმოსავთა შეჭამას დააპირებენ და მართალთ სასიკვდილოდ გაიმეტებენ. ორთავიანი მხეცნი რომ იხილე, მატყუარა ვაჭრები და ცილისმწამებლები არიან, ხოლო კოჭლი სამთავიანი მხეცი მოგვთა, ჯადოქართა და მატყუარათა სახეა, მრავალთ აცთუნებენ ისინი, მიეახლებიან მათ კაცნი და შემწეობას მოთხოვენ, ხოლო ღმრთის სასოებას სრულიად დაუტევებენ. ვაჭარნი სიცრუითა და მლიქვნელობით ივაჭრებენ და საკუთარ სულთა წარსაწყმედად გამდიდრდებიან, რამეთუ, სიხარბით აღძრულნი, მრავალ ჭირს შეამთხვევენ უპოვართ. მაშინ იქნება, რომ ამგვარი უსამართლობით შეჭირვებულნი უპოვარნი შეჰღაღადებენ უფალს. შეისმენს ღმერთი მათ ვედრებას და მაჭირვებელთ წარსწყმედს: ღვთისმოსავნი ბოროტეულთა მოსაქცევად გამოითხოვენ წყალობას ღვთისგან და სიმართლე დაისადგურებს ქვეყანაზე მცირე ხნით”. სიზმარი მეშვიდე -და თქვა მეფემ მეშვიდე სიზმარი: ნეხვში ჩაფლული მღვდელი ვიხილე, შველას ითხოვდა გამწარებული, მაგრამ შემწე და ამ მწვირედან მისი ამომყვანი არავინ იყო. - ქრისტეანმა მიუგო: მღვდელნი გაწუწურაქდებიან და ღვთის სჯულს დაარღვევენ; სხვას ღვთის მცნებებს ასწავლიან, თავად კი არას დაგიდევენ. სხვას მძიმე ტვირთს აჰკიდებენ, თავად კი თითს არ გაანძრევენ, წინასწარმეტყველის სიტყვისამებრ: სულიერ შვილებს ფულისა და მონაგებისთვის დამოძღვრავენ და მუცელღმერთობას მიეცემიან. კაცთა წინაშე ქედდადრეკილნი, არა მოციქულთა და წმ. მამათა განწესებათაებრ, არამედ კაცობრივი შიშით შეპყრობილნი განუტევებენ ცოდვებს. მიიღებენ შესაწირავს უღირსთაგან: მემთვრალეთ, ქურდებს, ყაჩაღებს, ცილისმწამებელთა და მათ მსგავს დამწყალობებიან, ამიტომაც, მათთან ერთად გაიზიარებენ სამარადისო სასჯელს. სიზმარი მერვე - ვიხილე წითელი ცხენი, რომელიც ფრიად ბევრ ბალახს ძოვდა, ორი ხორხი ჰქონდა ამ ცხენს. ქრისტეანმა მიუგო: იმ ჟამს უსამართლობა და ბოროტი კანონი დამკვიდრდება. დიდებულნი ამპარტავნებასა და სიამაყეს მიეცემიან, მსაჯულნი უმოწყალონი იქნებიან. მექრთამეობის სული შეიპყრობს ყოველივეს. უსამართლო მსჯავრს განაჩენენ სარგებლისთვის, შიშის გამო გაამართლებენ მდიდართ, უპოვართა და დავმდაბალთ კი დაადანაშაულებენ. ღმრთის შიში არ ექნებათ, მართლისა და მტყუანისგან დანაპირებს აიღებენ, ხოლო მტყუანს გაამართლებენ და უსამართლოდ დასჯიან მართალს.

სიზმარი მეცხრე -და თქვა მეფემ მეცხრე სიზმარი: ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი თვლებით მოფენილიყო დედამიწა. მოვიდნენ კაცნი ასაკრებად, მაგრამ ვერ შესძლეს - ქრისტეანმა მიუგო: დიდი ამბოხი და შეძრწუნება იქნება იმ ჟამს. მდიდარნი შიშის გამო თავიანთ ქონებას მეგობრებს მიაბარებენ, ხოლო ამბოხის ჩაწყნარების შემდეგ, კუთვნილის უკანვე დაბრუნებას მოინდომებენ, რამეთუ არ მისცემენ მეგობარნი დანატოვარს და არა ერთი მდიდარი კაცი გარდაიცვლება იმ დროს დარდით. სიზმარი მეათე - და თქვა მეფემ მეათე სიზმარი: ვიხილე საოცრად დიდი მთა, რომელზეც ნათელი ქვა იდო. უეცრად მთა დაინგრა, ქვა კი დაიფშვნა. ქრისტეანმა მიუგო: იმ ბოლო ჟამს ერთ ქვეყანაში მართლმადიდებლური მეუფება დამკვიდრდება, მაგრამ დიდი ურწმუნოებისა და უსამართლობის გამო ქრისტეს სარწმუნოებას მრავალი განუდგება, სამეფო კი ორად გაიყოფა. ამის შემდეგ მართლმადიდებლური სარწმუნოება ისევ შეერთდება, ეკლესია განმტკიცდება, მაგრამ მცირე ხნით. მეთერთმეტე სიზმარი - და თქვა მეფემ მეთერთმეტე სიზმარი: ვიხილე ერი წუმპეში ამოთხვრილი და შეძრწუნებული. ქრისტეანმა მიუგო: ბოლო ჟამს ადამიანები ცოდვილნი, მედიდურნი, მევახშენი, ფარისეველნი და ლოთნი იქნებიან. არ დაიცავენ ღვთის მცნებებს და ღვთის შიშ გულში არ შეუშვებენ. თავიანთი ჭკუით დაიწყებენ ცხოვრებას. იშვიათად თუ აღმოჩნდება მათ შორის მართალი. სიზმარი მეთორმეტე - და თქვა ხელმწიფემ ბოლო სიზმარი: მდინარის პირზე დამპალი ლოქო გაწოლილიყო, რომლის მუცელში თევზი ფართხალებდა. ლოქოს გამო შიშს მოეცვა მთელი დედამიწა, რადგან ქვეყნიერების აღსასრული დამდგარიყო. ქრისტეანმა მეფეს უპასუხა: მერვე ათასწლეულს იმგვარი მწუხარება იქნება, დასაბამიდან რომ არ ყოფილა, გაუწყებ, მეფეო, ამ სიზმრის არსს, ოღონდ არ შეშინდეს. ოდესღაც ისრაელში წინასწარმეტყველი გედეონი ცხოვრობდა, რომელმაც მიდიანელნი დაამარცხა და ყამალეკიანელნი მათი უსჯულოებისთვის დაამხო. ესენი ფრიად ბოროტნი იყვნენ და ყოველივე სისაძაგლეს ჭამდნენ. ამიტომაც, ღმერთმა გედეონს უბრძანა ჩრდილოეთის ქვეყანათა უდაბნოებში შეერეკა ისინი, სადაც გამრავლდნენ კიდეც და ფართხალებდნენ ვითარცა თევზი ლოქოს მუცელში, ბოლო ჟამს უდაბნოდან გამოვლენ, რომამდე მოვლენ და მთელს დედამიწას დაიპყრობენ. ამის შემდეგ კი მალევე მოიწევა ქვეყნიერების აღსასრული.

სამწუხაროდ, თორმეტივე სიზმარში ახსნილი მოვლენები სრული სიზუსტით აღწერს იმ დროებას რომელშიც ვცხოვრობთ, შეუძლებელია, საუკუნეების წინ ღვთის დახმარების გარეშე თუნდაც მეფეს მიეღო და აეხსნა ინფორმაცია რომელიც საუკუნეების შემდგომ, ბოლო ჟამს უკავშირდებოდა, იმ ეპოქას, რომელსაც ტვინგამორეცხილი არსებები მართავენ და ჯერჯერობით არც წინასწარმეტყველების და არც ბოლოჟამის მოახლოების ჯერავთ. ჩვენი ქვეყნის ხელისუფალნი კი, ლუციფერის მეცამეტე ლეგიონში ნავარდობენ. არც ხალხი ადარდებთ და არც მიწა-წყალი, არც სიზმარი ესიზმრებათ, არადა პირველ რიგში მათ გადასანსლავს ბოლოჟამი!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება,
დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

(2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ლონდონში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა „ფესტოს დისკოს“ საიუბილეო თარიღს, მთავარი მომხსენებელი იყო გია კვაშილავა, რომელმაც პროტოქართულ ენაზე „აალაპარაკა“ 4 000 წლის წინანდელი კოლხური დამწერლობა.

ახლახანს 2017 წლის 10 მაისს იგივე გია კვაშილავა წერს: ათენის (საბერძნეთი) საერთაშორისო კონფერენციის პრეზიდენტს დღეს გავუგზავნე წერილი, რომელშიც დავწერე, რომ მე და ჩემი კოლეგა ათენში ჩასვლას ვერ ვახერხებთ საქართველოში მიმდინარე ფინანსური გაჭირვების გამო. მოკლედ, მე და ჩემი კოლეგა ვერ ვიღებთ მონაწილეობას ათენის საერთაშორისო კონფერენციაში. ჩემი მოხსენების თემაა: „A კლასის ხაზოვანი წარწერების საერთოქართველურ ენაზე გაშიფრვის შესახებ“

სირცხვილი არ არის?! ამასაც უცხოტომელებს ხომ ვერ დავაბრალებთ...)

„სკირი“ დაბოლოებაც „შვილ-ს“ ნიშნავდა ძველ მეგრულში. ამჟამად ამგვარი დაბოლოების გვარები ძალზე ცოტაღაა. მაგალითად: წულეისკირი — წულეს შვილი, კვეკვესკირი — კვეკვეს შვილი და ა.შ

„ჭკორი“ ნიშნავს ყმას. ამ დაბოლოებისა მხოლოდ სამი გვარიღაა შემორჩენილი: გეგეჭკორი — გეგეს ყმა, ვადაჭკორია — ვადას ყმა და პაჭკორია — პას ყმა.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი წელთაღრიცხვის კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში 20-ზე მეტი სხვადასხვა ტომი სახლობდა რომლებიც წარმოადგენდნენ ერთ ტერიტორიულ ჯგუფს და საუბრობდნენ მშობლიური ენის სხვადასხვა დიალექტზე. შესაბამისად, ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა სახელი უმკვიდრდებოდა.

ძველ მეგრულში შვილს ერქვა „სქუა“, „ბერი“ და „სკირი“, მაგრამ სამეგრელოში დღეს მხოლოდ „სქუას“ ამბობენ, „ბერი“ და „სკირი“ კი ლაზეთმა და ჭანეთმა შემოინახა, რომელიც რვა საუკუნეა მოწყდა მშობლიურ ხალხს.

სრულიად შესაძლებელია, მეგრული გვარები გაჩენილიყო იმ ეპოქაში, როდესაც მეგრულ ენას 20-ზე მეტი დიალექტი ჰქონდა და სწორედ ამიტომ მიეღო სხვადასხვა დაბოლოებები. მითუმეტეს, რომ ეგრისის სამეფოში ეს ტომები ახალი წელთაღრიცხვის საწყის საუკუნეებშიც კი იყვნენ შემორჩენილები.

„ბა“ დაბოლოების გვარები ვახსენეთ — არქიმანდიტრი ანტონის XIX საუკუნის 40-იან წლებში შედგენილი დოკუმენტით ცნობილი ხდება „ბაიაასუფიქსიანი“, ამჟამად გამქრალი მეგრული გვარები: ჭანუნბაია, ძინძიბაია, ეიბაია, აჰბაია, ლაწიბაია, შანბაია, აკიშბაია, ტელენბაია, კავშიბაია, ტუიბაია, კონტბაია, ჯივისბაია, ტვიშბაია, უშთბაია, ლულშბაია, აშურბაია — ისინი, ყველანი ქრისტიანები არიან.

ამდენად, „ბა“ დაბოლოების წარმოშობის გვარი არ არსებობს, ყველა მათგანი სახელია, რომელიც შემდგომში გახდნენ გვარები გვარის მაწარმოებლის დართვით.

მთელ საქართველოში უამრავი სახელია რომელიც „ბა-ზე“ ბოლოვდება და შემდეგში მისგან იწარმოა გვარი. მაგალითად, ბარაბა — ბარაბაძე— ბარაბაში; აბა — აბაიძე — აბაში — აბაშია; კობა — კობაძე — კობახია — კობაური — კობაშვილი და ა.შ

XX საუკუნეში, როცა გამიზნულად დაიწყო მეგრელების გააფხაზების პროცესი, ცდილობდნენ გვარებისთვის აფხაზური სტილი მიეცათ, თუმცა, როგორც ვხედავთ, გვარების მეგრული შინაარსის შეცვლა უმრავლეს გვარში შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგალითად, არდია გახადეს არდბა (ძველ მეგრულად „მზე“); თირქია — თირქბა (მეგრულად „დარტყმა“); კუჭავა — კუჭბა („კუჭი“ მეგრული სიტყვაა); ბაღია — ბაბღა („ბაღი“ მეგრული სიტყვაა) და ა.შ

ერთ-ერთი ფორმა მეგრულ გვარზე დასაწყისში „ა“ ბგერის დამატება იყო, როგორც ახასიათებს აფხაზურ არსებით სახელებს, მაგრამ ცხადია, მეგრული შინაარსი ვერც ამან შეცვალა. მაგალითად, ჯინჯოლია გახადეს აჯინჯალი („ჯინჯი“ — მეგრულად, ფესვი); შხვაცაბაია — აშხვაცავა („შხვა ცა“ — სხვა ცა); ბულისკირია — აბულისკირი (მეგრულად — „ბულის შვილი“) და ა.შ

სხვათაშორის, აღსანიშნავია, რომ გვარების გადაკეთების დროს, არავის გადაუკეთებია მეგრულად და აი რატომ: ფიქრობდნენ, რომ საქართველოში „ჭეშმარიტი ქართული წარმომავლობის“ მხოლოდ „ძე-ზე“ და „შვილზე“ დაბოლოებული გვარების მატარებლები არიან. ამან განაპირობა ისიც, რომ არც ერთ ებრაელს, მათ შორის სამეგრელოში მცხოვრებსაც კი, მეგრული გვარი არ აუღია. ასევე, სომხებს, რომლებმაც გვარი ქართულად გადაიკეთეს, მეგრული გვარი არ აუღიათ. როგორც ჩანს, მათ მიაჩნდათ (მიაჩნიათ) რომ მეგრული გვარი არ იძლეოდა სრულ გარანტიას იმისას, რომ ისინი ქართველებად აღექვათ. უფრო მეტიც — XIII-XV საუკუნეებში, ეგრისის ყოფილი სამეფოს ტერიტორიაზე (იმერეთი-გურია-რაჭა-აჭარა), სადაც მეგრელების რაოდენობა 75%-მდე იყო, მეგრელებმა მასობრივად გადაიკეთეს გვარები, თუმცა მეგრული შინაარსი უცვლელი დარჩა. დღეს ამ რეგიონებში მხოლოდ 10%-მდეა შემორჩენილი მეგრული გვარები.

ცნობისათვის, ინგლისურ ენაში 500 000-მდე სიტყვაა და გინესის წიგნშია შეტანილი, მეგრულში კი მილიონობით სიტყვაა...

(ღმერთმა გაანათლოს ორი დიდი კოლხი სული, ბატონები კლიმენტი შელია და ანზორ შონია, რომლებთან ნაუბარიც, მოკლედ, მაგრამ მკითხველამდე მოვიტანე)

რაიმეს ძიების პროცესში, მეცნიერებში, ცხადია, ურთიერთგამომრიცხავი ვერსიებიც წარმოიშვება, მაგრამ საქმეც ამაშია, თუ ყველა ვერსია არ შეჯერდება, რისამე დადასტურებულად გამოცხადება კიდევ უფრო არევს ისედაც არეულ, გადაკეთებულ, გამოფატრულ და სულაც, საქართველოსთვის (არა მხოლოდ, თვით მსოფლიოსთვის) უსინდისოდ აწაპნული ისტორიის საუკუნეებს.

თავისთავად, საინტერესოა ასევე თენგიზ ვერულავას „სამეგრელოს ეტიმოლოგია“: — 1. „მარი ბროსე წერს: თავდაპირველად, ეგროსი — ძმა ქართლოსისა, დაესახლა მდინარის პირად, რომელსაც დაერქვა მისი სახელი „ეგრისი“, ახლანდელი „ენგური“. ეგროსისგან წარმოსდგა სრულიად კანონიერად წარმოებული სახელწოდება მეგრელისა.“

2. სამეგრელოს უძველეს სახელწოდებად ძველ ქართულ წყაროებში დადასტურებულია ეგური: „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თვსთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა.

ტოპონიმი „ეგური“ დღეისათვის შემონახულია ჰიდრონიმში „ენგური“, რომლის ძველი ფორმა იყო „ეგური“: სამხრეთით მდინარე რიონი, გურიაოდიშს შორის და კუალად ეგურის შესართავს დასავლეთი შავი ზღვა.“

„ეგური“ ტოპონიმია, ქვეყნის სახელია და ნიშნავს „სამეგრელოს“, „დასავლეთ საქართველოს“. ის მნიშვნელობით იგივეა, რაც ხმოვნის რედუქციით მისგანვე მომდინარე — შუალობით ან უშუალოდ — უფრო გვიანდელი „ეგრ-ი“ (=ეგურ-ი) და ამ უკანასკნელისაგან ნაწარმოები, შედარებით მოგვიანო, თუმცა თავისთავად ძალიან ძველი „ეგრ-ის-ი“ (=ეგრ+ის-ი)“

სიმონ ჯანაშიას აზრით, ამ ქვეყნის (ეგრ-ის-ი) ფუძიდან „ეგრ“, ნაწარმოებია მ-ეგრ-ელ-ი, ისევე, როგორც მეგვიპტელი — ეგვიპტიდან, მაწუყვერელი — აწყვერიდან და ა.შ იგივე ფუძე სხვა ხმოვნებით აწარმოებს ადგილობრივს „მ-არგ-ალ-ს“ (თავდაპირველი მ-აგრ-ალ-იდან), აფხაზურ აგრ-უა-ს, ძველ სომხურ ეგერ-აცი-ს.“

კლავდიოს პტოლემაიოსი (ახ. წ.100-178წწ) თავის გეოგრაფიაში ასახელებს „მანრალებს“, რაც ცხადია, იგივე „მეგრელების“, ან ადგილობრივი „მარგალის“ ფორმაა. იგი წერს: „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზევით მდებარე ადგილებში მანრალები და ეკრიკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი“. ამ ცნობაზე დაყრდნობით, ლაზები ზღვის პირას ბინადრობენ, ხოლო მანრალები და ეკრიკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი — ზღვისგან მოშორებით, „ზევით მდებარე ადგილებში.“

VII ს. „სომხური გეოგრაფია“ „მანრალებს“ „მანრილების“ სახელწოდებით ასახელებს. აღნიშნული „გეოგრაფიის“ მოკლე რედაქცია გადმოგვცემს: „კოლხეთი (კოლქის) არის იგივე ეგრისი (ეგერ)... და შეიცავს ეგრისი ოთხ მცირე ქვეყანას: მანრილი, ეგრევიკა, ლაზივი, წანეთი, რომლებშიც არიან ხალდები.“ აშკარაა, რომ „სომხური გეოგრაფიის“ ავტორს გამოყენებული აქვს კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო.“ „სომხურ გეოგრაფიაში“ მოხსენიებული „მანრილი“ პტოლემაიოსის „მანრალებია“, ხოლო „ეგრევიკი“ იგივე „ეკრიკტიკეა“.

(ვნახოთ საფუძველი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ მეგრელები, მანრალი-მაკროფონები სხვადასხვა სახელია ერთისა და იმავე ხალხისა. სტრაბონი (XII პარაგ 3,18) გვატყობინებს, რომ სანები წინათ მაკრონებად იწოდებოდნენ. **სანი**, როგორც ჩანს, შეესატყვისება ეთნიკურ სახელწოდებას **ზან**-ს, რომლითაც სვანები „მეგრელს“ აღნიშნავდნენ, რომლითაც ქართველები ტრაპიზონის ვილაეთის მეგრელებს აღნიშნავდნენ.

ჭანების, ან რაც იგივეა, ლაზების გარდა, პროკოპი კესარიელი არავითარ სხვა ხალხებს არ იცნობს თვით სურამის ქედამდის. ძალზე დამახასიათებელია, რომ ტრაპიზონის ვილაეთმა შემოინახა ეს სახელი (ჯანიკ).

რიტერი (ნ, „მცირე აზია 1, გვ. 100) იტყობინება, რომ თურქები მის დროს ჯასანიკს (ჭანიკს) უწოდებდნენ მთელ სანაპიროს იუნიედან სამსუნამდის და იქით, ჰალისამდის. ჯოფორდის მტკიცების თანახმად, ვილაეთის 850 000-იანი მოსახლეობიდან მხოლოდ 56 000 უწოდებდა საკუთარ თავს ბერძნებს, დანარჩენნი კი ლაზებს ეკუთვნოდნენ (ჯავახიშვილი გვ 41).

ნიკო მარიც გვატყობინებდა, რომ მისი თურქი ინფორმატორის მტკიცების თანახმად, თურქეთის შავი ზღვის სანაპიროების მთელი მოსახლეობა თვით სინოპამდის, ლაზებად ითვლება. კიპერტისა, მაიერის და სხვათა მიხედვით, ძნელი არ იქნება დავუშვათ, რომ ზანების--ჭანების გავრცელება ძველ დროში (შეიძლება) უფრო ფართო უნდა ყოფილიყო. ვგონებ, ძველ ბერძნულ მწერლობაშიაც მოიპოვება საბუთი ამ მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად.

ვინ არიან ჰომეროსის **გალიზონები**, რომლებიც ტროადის ომში ტროელთა მხარეზე იღებდნენ მონაწილეობას? ალბათ, იგივე **სანები** მდინარე ღალის (ღალისის) მიდამოებიდან. სახელწოდება **ღალა** მეგრულია და მდინარეს ნიშნავს. არა მხოლოდ გალიზონები, არამედ ისეთი გეოგრაფიული სახელებიც, როგორიცაა იარაბაზანი, ტარაბაზანი და სხვა, შეიცავს მეგრელთა ეთნიკურ სახელწოდებებს. ჰეროდოტეს მიერ მეორე სატრაპიეში მოხსენებული **ლაზიონები**, რომლებიც რავლინსონის აზრით, საგალასაში სახლობდნენ, ალბათ, იგივე **ზანები** არიან.

აკადემიკოს ნიკო მარრის გონებამახვილი მოსაზრების თანახმად, თუ მეგრელებს ძველ დროში ზანები ერქვათ, საფიქრალია, რომ მათ ქვეყანას „ლაზანი“ ეწოდებოდა. (სვანურში და ეგებ მეგრულშიც „ლა“ პრეფიქსი იგივეა რაც ქართული „სა“) ამ „ლაზანისგან“ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ზანების თანამედროვე სახელწოდება ლ ა ზ ი. რავლინსონი ფიქრობდა (ნ. IV წ; გვ 234), რომ ლაზონიელები, შესაძლოა, ეკუთვნოდნენ ლიდიელების მიერ განდევნილ პირვანდელ მოსახლეობას. ეს მოსაზრება ძალზე ახლოს უდგება ლაზონიების (ლაზანელების) ალაროიდულ წარმოშვებას. (პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელი)

ქართველი ისტორიკოსები ანტიკური წყაროების სახელწოდება „მანრალს“ უკავშირებენ „ეგრ“ ძირს, საიდანაც წარმოსდგება ეთნიკური სახელწოდება „მარგალი“ („მეგრელი“) და ქვეყნის სახელწოდება „ეგრისი“. Dმუსხელიშვილი კლავდიოს პტოლემაიოსისა და სომხური წყაროს ცნობების ანალიზის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „მანრალები“, „მანრილები“, იგივე „მარგალების“ ტომია და მათ „დასავლეთ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთ პროვინციის, ივერიის მომიჯნავე არგვეთის“ ტერიტორიაზე ათავსებს.

3. ძველ სომხურში სამეგრელოს სახელად დასტურდება „ე-გერ-ი. მარი ბროსე: — „ამ მხარეს სომხის ძველი მწერლები უწოდებენ „ეგერ“, „ეგერაცტან“ და იქ მყოფთ „ეგერაცად“.

4. „გერი“ — მგლის ტოტემური სახელი ე-გურ-ი, ე-გერ-ი დაკავშირებულია მგლის ტოტემურ სახელთან გერ-ი. ტერმინი ე-გერ-ის ძირი თანხვდება მეგრულ ენაზე სიტყვა მგელს (გერ-ი).

5. ბასკები თავიანთ ქვეყანას „ე-გუს სკალდუნს“ უწოდებენ. „ეგუს“ ბასკურად „მზე-ს“ ნიშნავს, ხოლო „სკალდუნ“ — ამომავალი მზის ქვეყნიდან წასულს. აია-კოლხეთი ამომავალი მზის ქვეყნად მიაჩნდათ ძველად. თუ ბასკურ ენაში არსებული სიტყვა „ეგუს“ ნიშნავს „მზე-ს“, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ასევე ყველა სიტყვები, როგორიცაა: ეგვიპტე, ეგეოსი, ეგეიდა და ა.შ — ყველანი მზესთან არიან დაკავშირებულნი და ერთი ენობრივი ოჯახიდან აქვთ ამოსავალი.

ამომავალი მზის ქვეყნის ხსენება, ფიქრებით, ძალაუნებურად შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიაში გადაგიყვანს...

(გაგრძელება იქნება)

რისკის ზონა - „მკვლელი“ ტანსაცმელი

(გაგრძელება, დასაწყისი. იხ. „სგ“ N18)

ვაგრძელებთ საუბარს ბატონ რამაზ გახოკიძესთან, რომელმაც „საერთო გაზეთს“, ამჯერად, „მავნე“ ტანსაცმელის და კოსმეტიკიდან მომდინარე საფრთხეებზე ესაუბრება:

— ბატონო რამაზ, წინა ინტერვიუში სამზარეულოში ჩადებულ ნაღმებზე ვისაუბრეთ. თქვენ აღნიშნეთ, რომ გარდა ამისა, ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე მავნე ტანისამოსიდანაც ემუქრება.

— დიახ. დასაწყისისთვის გეტყვით, რომ ნედლეულის ტიპის მიხედვით ქსოვილები სამ ჯგუფად იყოფა: სინთეზურ, ხელოვნურ და ნატურალურ (ბუნებრივ) ქსოვილებად. სინთეზური ქსოვილების წარმოებაში, ძირითადად, ნედლეულად ნავთობს იყენებენ. სინთეზური და ხელოვნური ქსოვილი მკვდარ მასალას წარმოადგენს, რომლის დაშლა ბუნებრივ პირობებში არ ხდება, რაც ეკოლოგიური თვალსაზრისით დიდ საშიშროებას წარმოადგენს. სინთეზური და ხელოვნური მატერია, ფორმების არ არსებობის გამო, ჰაერთან კავშირს მნიშვნელოვნად ზღუდავს, რაც ადამიანის სხეულის გარემოსთან თავისუფალი ურთიერთობის დარღვევას იწვევს. ამ დროს ორგანიზმიდან იბლოკება ტენის გამოყოფის ბუნებრივი გზებიც — ცხოველმყოფელობის მნიშვნელოვანი პროცესი. რაც შეეხება ბუნებრივ ქსოვილს, მაგალითად, ნატურალური აბრეშუმი ადამიანზე დადებითად მოქმედებს, მზის სხივებთან, ჰაერთან და მთელ ბუნებასთან კონტაქტის საშუალებას იძლევა. აბრეშუმის ქსოვილი ხუთი ათასი წლის წინ ჩინეთში შეიქმნა. ლეგენდის თანახმად, იმპერატორ ხუან დის 14 წლის მეუღლე თუთის ხის ქვეშ ჩაის მიირთმევდა, როცა ფინჯანში ხიდან აბრეშუმხვევიას პარკი ჩავარდა. იგი გაოცებული დარჩა, როგორ დაიწყო პარკმა ცხელ წყალში გაშლა და წვრილი აბრეშუმის ძაფის გამოყოფა. მან ათასობით პარკი შეაგროვა და იმპერატორს ჩასაცმელი მოუქსოვა. აბრეშუმი ძვირად ფასობდა და მისგან დამზადებული ტანსაცმლით მხოლოდ იმპერატორები იმოსებოდნენ.

აბრეშუმის ქვედა საცვლები — იმპოტენციის სამკურნალოდ

— ბატონო რამაზ, რა სამკურნალო თვისებები აქვს ნატურალურ აბრეშუმს?

— აბრეშუმის სამკურნალო თვისებები ცნობილი იყო ჩინეთსა და იაპონიაში. აბრეშუმი აახალგაზრდავებს კანს და აფერხებს დაბერებას. ექიმების გამოკვლევებით, თუთის აბრეშუმხვევიის ძაფები აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხსნის კანის სიმშრალეს, ახასიათებს ანტისეპტიკური თვისებები. აბრეშუმის ნაწარმის ხმარება რეკომენდებულია მათთვის ვისაც აწუხებს ართრიტი, დერმატიტი, ალერგია. მუდმივი ანგინისგან თავის დაღწევა შესაძლებელია აბრეშუმის შარფის ტარებით. აბრეშუმის სახვევი მაჯასა და მუხლებზე ხსნის სახსრების ტკივილს. აბრეშუმის პიჟამა შველის უძილობას. ძველ ჩინეთში დაბანის შემდეგ სახეს და პირს აბრეშუმის ქსოვილით იმშრალებდნენ და აბრეშუმის თეთრეულში ეძინათ. აბრეშუმის ბალიშისპირი და საბანი არ იკარებს მტვრის ტკიპებს და საპროფიტებს. ჩინეთში მამაკაცებს იმპოტენციის მარტივი ფორმების სამკურნალოდ ბუნებრივი აბრეშუმის ქვედა საცვლების ტარებას ურჩევდნენ. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, სამკურნალო მიზნით, ჰიგიენის გამო, ყველა სამხედრო ოფიცერს ნატურალური აბრეშუმისგან დამზადებულ ქვედა საცვლებს ურიგებდნენ. ყაზარმულ პირობებში რუსულ არმიას პედიკულოზი, ანუ დატილიანება აწუხებდა. ამ პარაზიტს აბრეშუმის ტანსაცმელში არსებობა არ შეუძლია, რადგან ნატურალური ქსოვილი საუკეთესო ანტისეპტიკია. აქვე გეტყვით, რომ აბრეშუმის ტანსაცმლის ხმარება წელიწადის ნებისმიერ დროს შეიძლება, ზამთარში იგი სითბოს ინარჩუნებს, ხოლო ზაფხულში — სიგრილეს. აბრეშუმი ისრუტავს საკუთარი სხეულის ნესტის 50%-ს და ადვილად შრება. ნატურალური აბრეშუმი აჯანსაღებს და აახალგაზრდავებს კანს. ერთ-ერთ ფაბრიკაში შეამჩნიეს, რომ ქალები, რომლებიც აბრეშუმის ქსოვილს ამზადებდნენ, საოცრად ნაზი ხელის კანით გამოირჩეოდნენ. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ აბრეშუმში შემავალი პროტეინი ფიბრიონი ზრდის კანის სიმკვრივეს და ელასტიურობას. ასევე, ტანსაცმლის შესაკერად ყველაზე პოპულარული მასალაა ბამბა, რადგან იგი ჰიგიენურია, კარგად ისრუტავს წყალს, იოლად ატარებს ჰაერს და მაღალი ჰიგიენური თვისებები გააჩნია. სელის ბოჭკოებიც, ბამბის მსგავსად, სასარგებლოა ორგანიზმისთვის. სელის ქსოვილები საკმაოდ კარგად უთავდება, მაღალჰიგიენურია, კარგად ისრუტავს ტენს და წლის ნებისმიერ დროს ოპტიმალურ ტემპერატურას ინარჩუნებს. სელი, ასევე, გამოიყენება მედიცინაში, რადგან შესანიშნავ ბაქტერიციდულ საშუალებას წარმოადგენს.

— ბატონო რამაზ, ახლა თქვენ ნატურალური ქსოვილის სასარგებლო თვისებებზე ისაუბრეთ. რაც შეეხება სინთეტიკურ ქსოვილს, რა ზიანის მოტანა შეუძლია მას ადამიანის ჯანმრთელობისთვის?

— მოგახსენებთ. სინთეზური ბოჭკოები ლაბორატორიულ პირობებში — მზის, ჰაერის, წყლისა და მიწის მონაწილეობის გარეშე იქმნება. ამიტომ ასეთი ქსოვილები „უსულოდ“ ითვლება და ცოცხალ მატერიასთან არავითარი საერთო არ გააჩნია. სინთეტიკა ენერგეტიკულად დაუცველია და ადამინისთვის მავნეა. სინთეზური ქსოვილები იაფია, არ იჭმუჭნება, ადვილად ირეცხება, დიდხანს ინარჩუნებს ფერს. ვისაც ალერგია, კანის დაავადებანი, ფსორიაზი ან ეგზემა აწუხებთ, სინთეზური ქსოვილების ტარება კატეგორიულად ეკრძალებათ. დაბალი ხარისხის სინთეზური ქსოვილების ტარებით ჯანმრთელ ადამიანსაც შეიძლება დერმატიტი განუვითარდეს. სინთეზური ქსოვილით დამზადებული ტანსაცმელი სტატიკურ ელექტრობას აგროვებს, რის გამოც ასეთ ტანსაცმელზე მტვერი ადვილად ეწებება. იგი ნერვული დაბოლოებების გაღიზიანებას და ცენტრალური ნერვული სისტემის ცვლილებას იწვევს. მისი ზემოქმედებით სისხლძარღვთა ტონუსი იცვლება. ორგანიზმზე სტატიკური ელექტრობის ხანგრძლივი ზემოქმედებით ვითარდება სწრაფი დაღლა, გამაღიზიანებლობა, უძილობა, არტერიული ჰიპერტენზია, ბრადიკარდია, სისხლძარღვთა დისტონია. გარდა ამისა, სინთეტიკა კანს სუნთქვის საშუალებას არ აძლევს. მოძრაობისას სხეული ცხელდება და საკუთარ ოფლში იორთქლება, რაც იწვევს სხეულზე გამონაყარს, ქავილს და ქრონიკულ სურდოს. უნდა აღინიშნოს, რომ სინთეზური ქსოვილი სითბოს არ ატარებს, რის გამოც სინთეტიკა ზამთარში ადამიანის სხეულს ვერ ათბობს, ხოლო ზაფხულში ვერ აგრილებს. ნებისმიერი სინთეზური ქსოვილი სათბურის ეფექტს ქმნის, ეს კი პათოგენურ ბაქტერიათა გამრავლებისთვის ხელსაყრელი პირობებია, რაც სოკოვან ინფექციათა გავრცელებას იწვევს. განსაკუთრებით მავნეა ნეილონის, სინთეზური აბრეშუმის და პოლიეთერის თეთრეულის ხმარება. სინთეტიკის კიდევ ერთი უარყოფითი მხარე მავნე მიკროორგანიზმებით სწრაფი გაბინძურებაა. ლეიბს, რომელსაც ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყენებენ, მიკროორგანიზმთა რაოდენობა დასაშვებ ნორმას 3-ჯერ აღემატება, ხოლო ბალიშებში (სინთეზური შემადგენლობით) ობის სოკოები 2-ჯერ მეტია, ვიდრე ბუმბულით გატენილ ბალიშებში, რომლებიც ლორწოვან გარემოში მოხვედრისას სერიოზულ დაავადებებს იწვევენ. ამიტომ, გინეკოლოგები ქალებს ნატურალური ქსოვილებისაგან დამზადებული ქვედა საცვლების ტარებას ურჩევენ. დერმატოლოგების რეკომენდაციით, 100%-იანი სინთეტიკიდან დამზადებული ტანსაცმლის შეძენაზე უარი უნდა ვთქვათ. დასაშვებ ნორმად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ 30% სინთეზური ბოჭკოს შემცველობა. რაც მეტია სინთეტიკა, ჰაერი მით უფრო ცუდად ცირკულირებს, ირღვევა თერმორეგულაცია, რაც ოფლიანობას იწვევს. სინთეზური ქსოვილები, დროთა განმავლობაში, დაუთოვების შედეგად, ტოქსიკურ აქროლად ნივთიერებებს გამოყოფენ. სინთეტიკასთან ერთად ტანსაცმელი შეიძლება საშიშ საღებავებს, წებოს და სხვა ტოქსიკანტებს შეიცავდეს. მე-18 საუკუნეში ევროპაში მოდაში მწვანე ფერი შემოვიდა, თუმცა იდეალური მწვანე საღებავის მიღება რთული იყო. ვილჰელმ შილემ შეძლო ულამაზესი მწვანე ფერის მიღება სპი-

ლენძის შაბიამნის, ძმარმჟავას, სოდისა და თეთრი დარიშხანის შერევით. მათ ვისაც ამ საღებავთან შეხება ჰქონდათ გარკვეული დროის მერე ეწყებოდათ თავის ტკივილი, პირღებინება, თავბრუხვევა, ხოლო კანზე წყლულები და ფუფხი უჩნდებოდათ. საუკუნის შემდეგ ჩატარებულმა ანალიზებმა აჩვენა, რომ აღნიშნული საღებავით შეღებილი ნივთები დარიშხანს საკმაოდ საშიში რაოდენობით შეიცავდა. მაგალითად, ერთი დიადემა, რომლის ხმარება პარიზელ ქალბატონებს ძალიან უყვარდათ, შხამის ისეთ ოდენობას შეიცავდა, რომლითაც 20 ადამიანის მოკვლა შეიძლებოდა. ორგანიზმში ეს ნივთიერება იჭრება როგორც კანით, ისე ფილტვებით, რაც მრავალ მძიმე სენს და სიკვდილსაც კი იწვევს. პირველი სინთეზური საღებავი მოვეინი პერკინმა 1854 წელს მიიღო, რაც ალერგიას და ონკოლოგიურ დაავადებებს იწვევს. ჯერ კიდევ 50-იან წლებში საბჭოთა კავშირში აზოსაღებავებით შეღებილი მაისურების ტარება აიკრძალა. მათი გამოყენება ევროპის ქვეყნებში აკრძალულია, გერმანიაში კი შავ წიგნშია შესული. ხანგრძლივი კონტაქტისას ეს ნივთიერებები შეიძლება საშარდე ბუშტის და შარდსადინარის კიბოს განვითარების მიზეზი გახდეს. მათ სუნი არ აქვთ და მომხმარებელს ნაწარმში მისი დამოუკიდებლად აღმოჩენა არ შეუძლია. ჩინური წარმოების ბავშვთა ტანსაცმლის ზოგიერთ პარტიაში აღმოჩენილია კიდევ უფრო ძლიერი შხამი ფორმალდეჰიდი. ადრე, ბაზარზე სინთეზური მასალისგან დამზადებულ საბავშვო ტანსაცმელს ვერ ნახავდით. დღეს კი ჩვენი ბაზარი მრავალი ლამაზი ჩინური ნივთითაა გაჯერებული, რომელიც ბრწყინვალებით ბავშვს იზიდავს. მაგრამ ჩინეთში წარმოებული ბავშვთა ნივთების უმრავლესობა უსაფრთხოების ნორმებს არ პასუხობს. მათი ნაწილი ისეთი საღებავებითაა შეღებილი, რომლებიც შეიძლება კიბოს განვითარების მიზეზი გახდეს.

— ბატონო რამაზ, მავნე ტანსაცმლისგან თავდასაცავად რა რჩევები შეგიძლიათ შესთავაზოთ ჩვენს მკითხველს?

— ზაფხულის ცხელ დღეებში რეკომენდებულია ნატურალური ქსოვილისგან დამზდებული ტანსაცმლის ტარება. იგი ულტრაიისფერი სხივებისგან სხეულს უკეთ იცავს, ვიდრე სინთეტიკა; ერიდეთ ტანსაცმელს, რომელიც პირველი გარეცვით ფერს იცვლის. იგი განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისთვის. ეს საღებავის დაბალ ხარისხზე მიუთითებს. აუცილებლად დაყნოსეთ ქსოვილი. თუ საღებავის უსიამოვნო სუნს იგრძნობთ, მის ყიდვაზე უარი თქვით. ქსოვილის შესაღებად დიდწილად ტოქსიკური ნივთიერებების შემცველ საღებავებს იყენებენ; ბუნებრივი აბრეშუმის დასადგენად ქსოვილიდან გამოიღეთ ძაფი და ცეცხლი მოუკიდეთ. ნატურალური აბრეშუმი დამწვარი თმის სუნს გამოყოფს, ფერფლი ჩვეულებრივი ნახშირივით ისრისება. ბუნებრივი შალი ცეცხლის მოკიდებით ბოლავს და დამწვრის სუნს გამოყოფს. სინთეზური ქსოვილი კი არ იწვის, იგი დნება, პლასტმასის უსიამოვნო სუნს გამოყოფს და მყარ ნამწვს ტოვებს; ნატურალური აბრეშუმისგან დამზადებული ქსოვილი ნაკლებად იჭმუჭნება. დაკეცილი ქსოვილი მოათავსეთ მუჭში და მოუჭირეთ. რამდენიმე წამში შეამოწმეთ: ხელოვნურ ქსოვილს მკაფიო ნაკეცები ექნება, ხოლო ნატურალურ აბრეშუმს — ოდნავ შესამჩნევი. აბრეშუმი განსაკუთრებული თერმული თვისებების გამო უცებ იღებს სხეულის ტემპერატურას; ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ ბამბის ქსოვილი, სინთეტიკისგან განსხვავებით, არ ბრწყინავს. იგი თბილი და პლასტიკურია, სინთეტიკა კი უფრო უხეშია. განსხვავებას ძაფის დაწვისას იოლად აღმოვაჩენთ: სინთეზური ძაფი დნება და მყარ ნადნობს იძლევა, ხოლო ბამბისა — იწვის და ფერფლი იფანტება. სამწუხაროდ, ზოგი მეწარმე ბამბას სინთეზურ ბოჭკოს უმატებს, რაც ხშირად ეტიკეტზე მითითებული არ არის. ამიტომ უნდა ვიცოდეთ: გარეცხვის შემდეგ სუფთა ბამბის ქსოვილი დიდხანს შრება, ხოლო სინთეტიკანარევი — სწრაფად. გარეცხვის შემდეგ გაფენილი თეთრეული თანაბრად თუ შრება, იგი სუფთა ბამბისაა, ხოლო თუ ზევით გაშრა და ქვევით სველია ე.ი. სარეცხი დიდი ოდენობით სინთეზურ მასალას შეიცავს. 100%-იანი ბამბის ქსოვილი დაუთოვებისას, სინთეტიკისგან განსხვავებით, სასიამოვნო სუნს გამოყოფს. უნდა გვახსოვდეს, რომ ტანსაცმელი უშუალო გავლენას ახდენს ჩვენს ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაზე, ამიტომ, მისი ხარისხი და უსაფრთხოება ჩვენი ჯანმრთელობის საწინდარია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— არ მყავს ქმარ-შვილი. ჩემი ქონება ანდერძით მსურს დავუტოვო ჩემს ერთ-ერთ ძმისშვილს. ხომ არ შეექმნება პრობლემა მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან?

— თუ თქვენ ანდერძით დაუტოვებთ თქვენს ქონებას ერთ-ერთ ძმისშვილს, მას დანარჩენი ძმისშვილებისაგან არ შეექმნება პრობლემა, რადგან ძმისშვილები არიან მე-2 რიგის მემკვიდრეები და ისინი სავალდებულო წილის უფლებით ვერაფერს მოითხოვენ. სავალდებულო წილის უფლების მოთხოვნით სარგებლობენ მხოლოდ 1-ლი რიგის მემკვიდრეები.

* * *

— ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. მათ ჰყავთ ერთი მცირეწლოვანი შვილი. განქორწინების დროს ჩემს ქალიშვილს არ მოუთხოვია ალიმენტის საკითხის განხილვა. შეგვიძლია თუ არა, ახლა მოვითხოვოთ ალიმენტის გადახდა ბავშვის სასარგებლოდ?

— შეგიძლიათ.

ალიმენტის მოთხოვნა ყოველთვის შეიძლება ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

* * *

— რას ნიშნავს დანაშაულის რეციდივი?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 17. დანაშაულის რეციდივი

1. დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

2. ამოღებულია (22.06. 2007 N 5035)

3. ამოღებულია (22.06. 2007 N 5035)

4. დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია ამ კოდექსის 79ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

5. დანაშაულის რეციდივის შემთხვევაში ამ კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით და დადგენილ ფარგლებში შეიძლება დაინიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი.

* * *

— ჩემს შვილს ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენისათვის შეეფარდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. გთხოვთ, გაგვაცნოთ ამ სასჯელის პირობები.

— თქვენთის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულყოფილად:

მუხლი 44. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

1. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნიშნავს მსჯავრდებულის თავისუფალ დროს უსასყიდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ხოლო ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ან თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება — სასამართლო.

2. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ორმოციდან რვაას საათამდე ვადით. ჯარიმის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შემთხვევაში, ან ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ანდა თუ მხარეთა შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, იგი შეიძლება დაინიშნოს უფრო მეტი ვადითაც. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს.

3. თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაზე ან ჯიუტად თავს აარიდებს მას, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის რვა საათი — თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე, თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს.

5. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახით გათვალისწინებული არ არის.

ყველაზე მდიდარი ადამიანები ჟურნალ „TIME“-ს მიხედვით

კაცობრიობის მანძილზე ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში, რომელიც ჟურნალმა „თაიმმა“ შეადგინა, შედიან როგორც უძველესი დროის მმართველები და უდიდესი იმპერიების მბრძანებლები, ასევე ცნობილი ბიზნესმენები...

მანსა მუსა

უმდიდრეს ადამიანად გამოცემამ შუა საუკუნეების მალის მმართველი მანსა მუსა აღიარა. ისტორიის პროფესორის რიჩარდ სმიტის აზრით, მუსას მმართველობის პერიოდში ქვეყანა ოქროს უდიდესი მწარმოებელი იყო, ამიტომ მისი სიმდიდრის ზუსტად განსაზღვრა ძალიან ძნელია.

მექაში მოგზაურობის დროს, 1324 წელს, ცხენზე ამხედრებული მანსა მუსას ამალა სხვადასხვა ვერსიით, 60-80 ათას ადამიანს შეადგენდა.

მანსა მუსა

ქაიროს ქუჩებში მისმა მოგზაურობამ, აქლემთა ქარავნებმა და უთვალავმა მონამ, მეფის ხელგაშლილობამ და აუწერელმა სიმდიდრემ სახელგანთქმული გახადა მეფე. საელჩოს ხარჯები კი იმდენად დიდი იყო, რომ ამან ეგვიპტეში სავალუტო კრიზისი გამოიწვია: მალიდან ოქროს შემოდინების გამო ადგილობრივი ძვირფასი მეტალი გაუფასურდა.

გარდა ამისა, ისტორიული წყაროების ცნობით, მუსას ჯარი 200 ათასი ადამიანისგან შედგებოდა, მათ შორის 40 ათასი მეისრე იყო — ეს რაოდენობა თანამედროვე ზესახელმწიფოებისთვისაც კი ძალიან მნიშვნელოვანია. შემონახულია მუსას გამოსახულება, რომელზეც მას ხელთ ოქროს სკიპტრა და ოქროს თასი უპყრია, ზის ოქროს ტახტზე, თავზე კი ოქროს გვირგვინი ახურავს.

იმპერატორი ოქტავიან ავგუსტუსი

სიის მეორე ადგილზე რომის იმპერიის შემქმნელი ოქტავიან ავგუსტუსია. სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორის იან მორისის სიტყვებით, გაიუს იულიუს ცეზარის ნათესავი არამარტო მართავდა იმ იმპერიას, რომელიც მსოფლიო წარმოების 25-30 პროცენტს ქმნიდა, არამედ უთვალავი პირადი სიმდიდრის მფლობელიც იყო, რაც იმპერიის ეკონომიკის ერთ მეხუთედს შეადგენდა. დღეისათვის მისი ქონება დაახლოებით 4,6 ტრილიონი დოლარის ეკვივალენტი იქნებოდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანწილად ზრდიდა მის ქონებას ეგვიპტის მიერ მისთვის პირადად გადახდილი ხარკიც.

იმპერატორი შენ-ცზუნი

უმდიდრეს ადამიანთა სიაში მესამე ადგილს იკავებს ჩინეთის იმპერატორი შენ-ცზუნი. იგი XI საუკუნეში იყო ეკონომიკურად ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს, ჩინეთის მმართველი, რომელიც მსოფლიოს შიდა პროდუქტის 30 პროცენტს აწარმოებდა.

მისი იმპერიის სიმდიდრის წყარო ტენოლოგიური ინოვაციები და გადასახადების გამართული სისტემა იყო, რომელიც ასეული წლებით უსწრებდა ევროპულ ანალოგებს. ასევე, ცენტრალიზებული ადმინისტრაციული სისტემა, რაც იმპერატორს საშუალებას აძლევდა, სრულად ეკონტროლებინა ეკონომიკა.

აკბარ დიდი I

დიადი მოგოლების იმპერიის ფადიშაჰი, „ინდოეთის უდიდესი მმართველი“, იმ ქვეყანას ედგა სათავეში, რომელიც იმ დროისთვის მსოფლიოში წარმოებული საქონლის მეოთხედს ქმნიდა.

ისტორიკოსების სიტყვებით, აკბარის მმართველობის წლებში ინდოეთში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტი შეესაბამებოდა დედოფალ ელიზაბეთის მმართველობის პერიოდის ინგლისს (XVI ს.). ეკონომისტ ბრანკო მილანოვიჩის სიტყვებით, მის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დიადი მოგოლების დინასტია მართავდა ყველა დროის ყველაზე ეფექტურ იმპერიას: მათ იცოდნენ, როგორ უნდა აეკრიფათ ხარკი თავიანთი ქვეშევრდომებისგან.

რუფუსი

იოსებ სტალინი

თანამედროვე ეკონომიკის ისტორიაში სტალინი გამორჩეული ფიგურაა: ის იყო მმართველი, რომელსაც აბსოლუტური ძალაუფლება ჰქონდა და მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ეკონომიკას აკონტროლებდა. თუმცა პრაქტიკულად შეუძლებელია სტალინისა და საბჭოთა კავშირის ქონების გამიჯვნა.

საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და სსრ კავშირზე ტოტალური კონტროლის გამო ზოგიერთი ეკონომისტი სტალინს ყველა დროის ერთ-ერთ


ბილ გეიტსი

უმდიდრეს ადამიანად მიიჩნევს. და თუმცა ფული უშუალოდ მას არ ჰქონდა, შეეძლო სრულად გამოეყენებინა საბჭოთა ეკონომიკის მთელი სიმძლავრე.

„კობა ხმელეთის ერთ მეექვსედს აკონტროლებდა საზოგადოების მხრიდან ყოველგვარი კონტროლის გარეშე, — წერს ბირმინგების ალაბამას უნივერსიტეტის პროფესორი ჯორჯ ო. ლიბერი და აგრძელებს. — ვთვლი, რომ შეიძლება იგი შეძლებულ ადამიანად ჩავთვალოთ, თუ გავაფართოვებთ, ტრადიციულად მიღებულ წარმოდგენას, რაც სიტყვა „სიმდიდრის“ ქვეშ იგულისხმება“.

ამის გათვალისწინებით, შეუძლებელია სტალინი ისტორიის მანძილზე ეკონომიკურად გავლენიან ადამიანებს შორის არ მოიხსენიო. საბჭოთა კავშირის ეკონომიკაზე მისი გავლენას უახლეს ისტორიაში ანალოგი არ აქვს.

ბილ გეითსი

ჟურნალი **Forbes** შეფასებით, „დღეისთვის ჩვენს გვერდით მცხოვრებ ადამიანთა შორის“ ყველაზე მდიდარი ადამიანია კომპანია **Microsoft**-ის დამფუძნებელი ბილ გეითსი. მისი აქტივების ღირებულება 78,9 მლრდ დოლარია.

ენდრიუ კარნეგი

ყველა დროის უმდიდრეს ადამიანთა შორის არის ენდრიუ კარნეგიც. შოტლანდიიდან ემიგრირებულმა კარნეგიმ 1901 წელს თავისი კომპანია **U.S. Steel** მან 480 მლნ აშშ დოლარად გაყიდა, ეს აშშ-ის შიდა ერთიანი პროდუქტის 2,1 პროცენტზე ოდნავ მეტი იყო იმ დროისთვის. დღეისთვის ეს თანხა 372 მლრდ აშშ დოლარს უტოლდება.

ჯონ დ. როკფელერი

მეშვიდე ადგილი ამერიკული კომპანია **Standard Oil**-ის შემქმნელმა ჯონ როკფელერმა დაიკავა, რომლის ქონებაც 1918 წლისათვის 1,5 მლრდ დოლარს შეადგენდა, დღეისათვის ესდაახლოებით 314 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს.

ალენ რუფუსი (იგივე ჟღალი ალენი)

გარდაცვალების მომენტისთვის, 1093 წლისთვის, ბრეტონელი რაინდის ჟღალი ალენის ქონება 11 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა (იმდროინდელი ინგლისის ერთიანი შიდა პროდუქტის შვიდ პროცენტი). დღევანდელი კურსით ეს თანხა 194 მლრდ. დოლარს უდრის.

ჩინგიზხანი

ათეულის ბოლო ადგილს მონღოლეთის იმპერიის დამაარსებელი, ისტორიის მანძილზე ყველაზე წარმატებული მხედართმთავარი ჩინგიზხანი იკავებს.

ის მართავდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ იმპერიას, რომელიც ჩინეთიდან ევროპამდე იყო გადაჭიმული. ისტორიკოსების მტკიცებით, იგი სიმდიდრეს არ აგროვებდა და მისი გავლენის გასაღები მისი ხელგაშლილობა იყო. სამხედრო ალაფს იგი თავის მეთაურებთან და რიგით ჯარისკაცებთან ერთად იყოფდა.

ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ ყოველ ნივთს აღრიცხავდნენ და შემდეგ ყველაფერი სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს შორის ნაწილდებოდა. რა თქმა უნდა, ჩინგიზხანი თავის წილს იღებდა, მაგრამ ამით სიმდიდრე როდი შეიძინა. იგი დაიბადა და გარდაიცვალა იურტაში. გარდაცვალების შემდეგ სავანში შეახვიეს, როგორც ჩვეულებრივი მონღოლი და ისე დაკრძალეს.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

სახალხო მკურნალი (მცენარეული კანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com